# ალია

~~1 ლარი~~ 70 თეთრი

N25/2955/ 19 თებერვალი 2014 წ

ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


**იანუკოვიჩმა ხელები საკუთარი ხალხის სისხლში გაისვარა. არეულობა მთელ უკრაინას მოედო, დაღუპულების რაოდენობას ვერ ითვლიან**

**რა ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებენ არასაპარლამენტო ოპოზიციას?**



**ექსკლუზივი**

**ირაკლი ალასანიას პროკურატურაში უჩივიან**



**კულუარები**

**რატომ არ იჭერს ლევან ვარშალომიძეს „ოცნების“ ხელისუფლება?**



**რა განიხილეს ღარიბაშვილმა და აჭარის დეპუტაციამ დახურულ შეხვედრაზე**

**სკოლის სახელმძღვანელოებს ცვლიან?**



## კულუარები



**ვინ წარადგენს „გრეჩიხას“ მერობის კანდიდატად?**

**რას ეუბნება ლევან გაჩეჩილაძე „ალიას“ თავის გრანდიოზულ გეგმებზე?**

**რა მეთოდით აკრძალავენ ინტერნეტით „ბიოს“ გამოწერას?**



## ექსკლუზივი

**სოფლის შენებას რა უნდა?**

**კაი მხარჯველი სამინისტრო!!!**



ავტოტრანსპორტში — 2 013 139 ლარი;
საწვავში — 5 425 214 ლარი;
ავტომობილების ტექმომსახურებასა და რეცხვაში — 298 411 ლარი;
კომპიუტერულ ტექნიკაში — 262 960 ლარი;
სასტუმროს ნომრებსა და სასტუმროში ორგანიზებულ ღონისძიებებში — 66 942 ლარი;
სარესტორნო მომსახურებასა და ფურშეტებში — 53 469 ლარი;
სხვადასხვა საკვებ პროდუქტებში, ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებში — 51 372 ლარი;
მობილური ტელეფონის აპარატებში — 22 100 ლარი;
საჩუქრებში — 18 163 ლარი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხადური „ჯეოსელის“ საქმეზე პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „ჯეოსელში“ საგამოძიებო მოქმედებებისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემის მცდელობაში ოპონენტებს ადანაშაულებს. მისი თქმით, გამოძიება თავად გაასაჯაროებს იმ ინფორმაციას, რაც გამოძიების მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის.

„ვფიქრობ, ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, საგამოძიებო მოქმედებებს პოლიტიკური ელფერი მისცენ. ძიებას მხოლოდ ფინანსური მიმართულება აქვს და არაფერი საერთო არ აქვს იმ ეჭვებთან და მოსაზრებებთან, რომელიც ჩვენს ოპონენტებს გააჩნიათ. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ გამომძიებლები მუშაობენ და კომპანიის საქმიანობას ხელი არ ეშლება“, – აღნიშნა ხადურმა.

მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური რამდენიმე დღის წინ შევიდა. (ფრონტნიუსი)

## კიევში ევრომაიდანზე საქართველოს მოქალაქე დაიღუპა



„ფეისბუქში“ ევრომაიდანის გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარდაცვლილ მამაკაცს ორი საბუთი აღმოაჩნდა. ერთ-ერთი დოკუმენტი უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ 1960 წელს დაბადებული ზურაბ ხურციძის სახელზეა გაცემული.

აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს უკრაინაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი მიხეილ უკლებაც.

„სამწუხაროდ, გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე ზურაბ ხურცია. დავუკავშირდით შს სამინისტროს და დაგვიდასტურეს, რომ 1960 წლის 29 ივლისს დაბადებული ზურაბ ხურცია გარდაცვლილია. როგორც გვითხრეს, მას ძალადობის ნიშნები არ აქვს. გადაასვენებენ „მორგში“. საქმეში ჩართულია შს სამინისტრო, ჩვენი საკონსულო და საკითხს ბოლომდე მივყვებით“, – განაცხადა მიხეილ უკლებამ.

მისივე თქმით, დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა გარდაცვლილი მაიდანის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს.

ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვლილის ოჯახი ინფორმირებულია. უკრაინაში საქართველოს კონსულის კონსტანტინე საბიაშვილის განცხადებით, გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მას დიაბეტი ჰქონდა. (ფრონტნიუსი)

## პატრიარქის იუბილის ხარჯები გამოქვეყნდა



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავის აღნიშნვასთან დაკავშირებით, 2013 წელს – 874 665 ლარი, 2012 წელს კი 433 000 ლარი გამოყო.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: ალბომი „ქართულ-ბერძნული ხელნაწერი“ – მომზადება-გამოცემა (ტირაჟი: 3000ც.); გამოფენა-პრეზენტაცია მოეწყო ეროვნული ბიბლიოთეკაში 23.12.2012წ. ბიუჯეტი – 24,602 ლარი; „ქართულ-ბერძნული ხელნაწერის“ ფაქსიმილური ვარიანტის მომზადება-გამოცემა (ტირაჟი: 1000ც.); ბიუჯეტი – 125 000 ლარი; ალბომი „ქართული ხელნაწერი წიგნი“, მომზადება-გამოცემა (ტირაჟი: 1000ც.), პრეზენტაცია მოეწყო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. 27.12.2012წ. ბიუჯეტი – 11,220 ლარი; ფოტოგამოფენა „ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“, ჩატარდა 9 გამოფენა: მცხეთა, სტეფანწმინდა, სიღნაღი, თელავი, წინანდალი, ყვარელი, გურჯაანი, სასჯელაღსრულების კოლონია, თბილისი თსუ; ბიუჯეტი – 46 520 ლარი; საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისკენ“ (მეუფე დანიელი); პროექტი განახორციელა ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ფოტოგამოფენა, ფოტოალბომის „ჟამი წყალობისა“ პრეზენტაცია, საიუბილეო ღონისძიებების გადაღება, მომზადდა დოკუმენტური ფილმი; ბიუჯეტი – 194 124 ლარი; 2012 წლის 25 დეკემბერს კონცერტი ჯ. კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში; ბიუჯეტი – 31,600 ლარი; 2013 წლის 4 იანვარს თბილისის საკონცერტო დარბაზში ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო გალა-კონცერტი; ბიუჯეტი – 59,375 ლარი; 2013 წლის 11 იანვარს კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში გამოიცა დისკი პატრიარქის საგალობლების (ტირაჟი 5000ც.); ბიუჯეტი – 176,555 ლარი; პატრიარქის ეპისტოლეების მომზადება-გამოცემა: ერთტომეული ტირაჟით 10 000ც. და ორტომეული ტირაჟით 1 500ც. ბიუჯეტი – 272,343 ლარი; მსოფლიო პატრიარქის ვიზიტთან დაკავშირებით მიღება-ვახშამი პატრიარქის სახელით შერატონ მეტეხი პალასში 13.01.2013წ. ბიუჯეტი – 59,981 ლარი; მიღება პარლამენტის თავმჯდომარის სახელით 12.01.2013წ. ბიუჯეტი – 13,331 ლარი; მიღება საპატრიარქოს უნივერსიტეტში; ბიუჯეტი – 5,080 ლარი; სასაჩუქრე სუვენირების დამზადება, ბიუჯეტი – 96,340 ლარი; პატრიარქის ეპისტოლეების ინგლისურენოვანი ვერსიის მომზადება-გამოცემა ტირაჟით 3000ც. ბიუჯეტი – 50,750 ლარი; ფილმის „სიცოცხლის ფასად“ ჩვენება კინოთეატრ „ამირანში“; ბიუჯეტი – 6,260 ლარი; სტუმრების განთავსება სასტუმრო „მერიოტში“ და ტრანსპორტირება; ბიუჯეტი – 134,650 ლარი. (ფრონტნიუსი)



## იანუკოვიჩმა ხელები საკუთარი ხალხის სისხლში გაისვარა. არეულობა მთელ უკრაინას მოედო, დაღუპულების რაოდენობას ვერ ითვლიან

წუხელ, ღამის 21.30 საათზე ბერკუტი შეტევაზე გადავიდა და დემონსტრანტების დარბევა დაიწყო. ბოლო ინფორმაციით, დღის მანძილზე შეტაკებების დროს 9 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 2 პოლიციელი, ხოლო დაშავებულთა ზუსტი რაოდენობა გვიან ღამემდე ცნობილი არ იყო, გარდა იმის, რომ ათეულობით ადამიანი მძიმედ იყო დაჭრილი. ექიმების თქმით, დაღუპულები ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალნენ.

ძალოვნებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ მოქმედებები ცრემლსადენი გაზის, ხმოვანი ყუმბარებისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაიწყეს. დემონსტრანტები კი ქვების სროლით პასუხობდნენ. საღამოსკენ კიევის რამდენიმე ქუჩა ცეცხლის კვამლში იყო გახვეული – აქტივისტები საბურავებს წვავდნენ. დემონსტრანტები მთელი დღის მანძილზე ცდილობდნენ ადმინისტრაციულ შენობების დაკავებას. საღამოს საათებში კი მერიის შენობას ხანძარი გაუჩნდა.

**liga.net**-ის ინფორმაციით, რამდენიმე ასეული ძალოვანი და დაახლოებით ათასამდე „ტიტუშკი“ (ხელისუფლების მხარდამჭერი და დაქირავებული მოქალაქეთა დაჯგუფება) დემონსტრანტებს ხელკეტებითა და ხელჯოხებით გაუსწორდა.

მოგვიანებით, კიევის ქუჩებში მძიმე ტექნიკა გამოჩნდა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინის მოქალაქეებმა გზა გადაუკეტეს БТР-ს, რომელიც „მოსკოვის მოედნიდან“ კიკვიძის ქუჩის მიმართულებით გადაადგილდებოდა. მოქალაქეებმა მძიმე ტექნიკას უკან დახევა აიძულეს. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ათი ათასზე მეტი დემონსტრანტი იმყოფებოდა. ისინი დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. მეტროპოლიტენის მუშაობის შეწყვეტის გამო კიევის ქუჩებში გადაადგილება პარალიზებული იყო. საავტომობილო ტრანსპორტის დიდმა ნაკადმა ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე საცობები შექმნა. დედაქალაქის მერმა მეტროს შეჩერების გადაწყვეტილება მიწისქვეშა ტრანსპორტში მოსალოდნელი ტერაქტების საშიშროების გამო მიიღო.

კიევის მეტროპოლიტენის პრესსამსახურის ინფორმაციით, მეტროპოლიტენი მუშაობას მხოლოდ მაშინ აღადგენს, როდესაც ტერაქტების საფრთხე მოიხსნება. თუმცა, კონკრეტული ვადა არ სახელდება. ძალოვნებმა ადგილობრივი ტელეკომპანია „ “-ის გადამღები ჯგუფის წევრებს სცემეს.

დემონსტრანტების განცხადებით, სამთავრობო კვარტალში მდებარე შენობების სახურავებზე სნაიპერები იყვნენ განთავსებული. ინფორმაციას ამის შესახებ **liga.net** ადასტურებს. გავრცელებული ინფორმაციით, ინსტიტუტსკაიასა და შელკოვიჩნაიას ქუჩის კვეთაზე მდებარე ოთხსართულიანი შენობის სახურავზე ოთხი სნაიპერი იყო განთავსებული, რომლებიც ხალხს ხმოვან ყუმბარებს უშენდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი სახლიდან მომიტინგეებმა შეძლეს ძალოვნების გამოდევნა.

5 Канал

## მამა გაბრიელის გარდა, მისი მოძღვრის საფლავიც გაიხსნება



საპატრიარქოში წმინდანების საფლავების გახსნასთან დაკავშირებით განცხადება გაკეთდა. როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ განაცხადა, 20 თებერვალს, 17:00 საათზე ბეთანიაში გაიხსნება მამა გაბრიელის მოძღვრის, ღირსი მამა გიორგი-იოანეს და ღირსი მამა იოანეს წმინდა ნაწილები და დასვენდება ბეთანიის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძარში. დეკანოზ დავით შარაშენიძის ინფორმაციით, იმავე დღეს 17:00 საათზე დაიწყება საზეიმო ლოცვა, ხოლო 24:00 საათზე საზეიმო წირვა ღამისთევით. წირვა-ლოცვა და პარაკლისები შემდეგ დღეებშიც აღესრულება.

22 თებერვალს 12:00 საათზე გაიხსნება სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალული ღირსი მამის, წმინდა გაბრიელ სალოსის წმინდა ნაწილები. „წმინდა ნეშტი ჯერ დასვენდება სამთავროს ფერიცვალების ტაძარში, ხოლო 18:00 საათზე გადასვენდება სვეტიცხოველში. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო ლოცვა დაიწყება შაბათს, 19:00 საათზე, ხოლო კვირას საზეიმო წირვა დაიწყება 10:00 საათზე. წირვა-ლოცვას წმინდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“, – განაცხადა დავით შარაშენიძემ.

მისივე თქმით, 24 თებერვალს მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები გადმოსვენებული იქნება სამების საკათედრო ტაძარში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში იქნება დაბრძანებული და მრევლს საშუალება ექნება, პატივი მიაგოს მას. შემდეგ კი ის დაიკრძალება სამთავროს ფერიცვალების ტაძარში. (ინტერპრესნიუსი)

## ტერორიზმის საკითხს კანონში ახალი მუხლები ემატება



ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რამდენიმე ახალი მუხლი შემოდის. კანონპროექტის მიხედვით, საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობა გულისხმობს საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საზღვარგარეთ ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობას, ასევე, უცხო სახელმწიფოს ან მისი ორგანოსთვის, პირთა ჯგუფისთვის ან სხვა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერას ტერორისტული მიზნით. ასეთი ქმედება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 12-დან 17 წლამდე ვადით. კანონპროექტის მიხედვით, თუკი აღნიშნული ქმედება ჩადენილი იქნება შეთანხმებით ჯგუფის ან ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ან მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს უცხო სახელმწიფოს, დანაშაულის ჩამდენი 15-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო პატიმრობით დაისჯება.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოდის ახალი – „სამხედრო ხასიათის მხარდაჭერის“ ცნება, რაც გულისხმობს, შესაბამისი პერსონალის შერჩევას, წვრთნების ჩატარებას, აღჭურვილობის შეძენას, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას, ლოგისტიკური, სადაზვერვო ან ფუნქციონალური დახმარების გაწევას, ტერორისტის პირადი დაცვით უზრუნველყოფას ან სხვა სამხედრო ხასიათის მომსახურების გაწევას. კოდექსში ახლებურად ყალიბდება ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის, მასში მონაწილეობის, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის და ხელმძღვანელობის მუხლი და მასთან დაკავშირებული სანქციები. კერძოდ, პროექტით, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან მისი ხელმძღვანელობა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 15-დან 20 წლამდე, მისი წევრობა 10-დან 12 წლამდე.

კანონპროექტით განსაზღვრულია ახალი მუხლი „ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის გადაბირება“, რომელიც აწესებს სანქციას, ვადით 5-დან 10-წლამდე. ამ ქმედებისთვის იურიდიული პირი დაისჯება ლიკვიდაციით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ჯარიმით. პროექტი ასევე ითვალისწინებს ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული მუხლის დისპოზიციის გაფართოებას. კერძოდ, ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა, როგორიცაა სამალავისა და თავშესაფრის მიცემა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 10-დან 15 წლამდე. რაც შეეხება კანონს დასამატებელ კიდევ ერთ ახალ ნორმას ტერორისტული საქმიანობის ხელშეშლისთვის ზომების მიუღებლობის შესახებ, ეს ქმედება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ძალიან სუსტია“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, მათ შორის, კერძო სექტორისაც. მისივე განმარტებით, ამის შედეგია ის, რომ ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი.

„სამწუხაროდ, ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, დაბალია მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრების მაჩვენებლები. ეს ნათლად აჩვენებს, რომ ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, მათ შორის კერძო სექტორისაც, რომელიც ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტია. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის რეგიონალურ განვითარებას. საჭიროა, გადაიდგას თანამიმდევრული ნაბიჯები დეცენტრალიზაციის მიმართულებით და გაიზარდოს რეგიონალური ერთეულების როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში. ეს იქნება საერთო ეროვნული წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი“, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი განცხადებით, მთავრობა, მისი ეკონომიკური გუნდი მზად არის ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგას იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

„ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ პატივცემული ექსპერტების რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომლებსაც გავითვალისწინებთ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას“, – დასძინა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „საქსტატის“ აღმასრულებელ დირექტორად მერი დაუშვილი დაინიშნა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორად მერი დაუშვილი დაინიშნა.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №406 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაინიშნოს მერი დაუშვილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ აღმასრულებელ დირექტორად ოთხი წლის ვადით“, – ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში. „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ამ დრომდე თენგიზ ცეკვავა ასრულებდა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



უკვე რამდენიმე დღეა, აჟიოტაჟი არ წყდება ე.წ. „სპეისებთან“ დაკავშირებით, რომელსაც ამ სამიოდე დღის წინ ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ ნივთიერებას სხვადასხვა საიტების მეშვეობითა იწერენ და მისი ფასი 50 ევროდან იწყება. არომატიზატორის რამდენიმე სახეობა არსებობს, ზოგიერთი მათგანი ეგზოტიკური ჩაია, ზოგი კი — აბაზანის მარილი, თუმცა მათ დანიშნულების მიხედვით თითქმის არავინ იყენებს, მათი ქიმიური შემადგენლობა კი მცირედ თუ განსხვავდება ერთმანეთისგან. ქართულ ფორუმებზე აქტიურად მიმდინარეობს განხილვა, რამდენად „კარგი“ ნარკოტიკული საშუალებაა „ბიო“.

აკრძალულია თუ არა ეს ნივთიერება მის მწარმოებელ ქვეყნებში და როგორ აპირებს ხელისუფლება სხვადასხვა უცხოური საიტებიდან ნარკოტიკული საშუალებების გამოწერის გაკონტროლებას?

„ალიას“ ესაუბრება ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი **გელა ლეჟავა:**



# რა მეთოდით აკრძალავენ ინტერნეტით „ბიოს“ გამოწერას?

– ის, რომ ე.წ ბიონარკოტიკი დღეს ყველასთვის ხელმისაწვდომია, იმითაა გამოწვეული, რომ ეს პრეპარატები შექმნილია მაფიის მიერ სპეციალურად ისეთი სახით (მარიხუანას ტიპის პრეპარატებია), რომ გაეროს აკრძალულ ნივთიერებათა სიაში არ შედის. ამდენად, მისი რეალიზაცია და მოხმარება დასჯადიც არ არის, ამიტომაც აწარმოებენ თავისუფლად. ზაფხულში მიიღო კანონი პარლამენტმა ე.წ. ბიოსა და „კრაკადილის“ ანალოგი ნივთიერებების კონტროლირებად სიაში შეყვანის თაობაზე, მაგრამ მხოლოდ კონტროლირებად სიაში შეყვანა არ იყო საკმარისი, საჭირო იყო პოლიციას ჰქონოდა ტესტი, რომელიც დაადგენდა ამ ნივთიერებების არსებობას. თუკი არ იცი, ნივთიერება რა არის, ლაბორატორიულად არ არის დამტკიცებული, რა შემადგენლობა აქვს, მას ვერ შეიყვან აკრძალულ ნივთიერებათა სიაში. ეს ტესტები შს სამინისტრომ უკვე მოიპოვა და ახლა უკვე მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში.

რაც შეეხება ამ ე.წ. ბიოს საკითხებს, ძალიან მოკლე ხანში ეს საკითხიც გადაწყდება. შეხვედრა უკვე შედგა იუსტიციის სამინისტროში, ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ექსპერტები, ნარკოლოგები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ვიმსჯელეთ იმაზე, როგორი უნდა იყოს დასჯადობის საკითხი ე.წ. ბიოს მოხმარებაზე. ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოიხმარს ამ ნარკოტიკს. ზოგადად, ნარკოტიკის მოხმარებისადმი შიშს ქმნის არა მისი ფასი, არამედ შიში იმისა, რომ დაგიჭერენ და სასჯელი იქნება მკაცრი. გარდა ამისა, რაკი ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარებაზე სასჯელი არ იყო და ნებისმიერს შეეძლო შეძენა და მოხმარება, ნარკოტიკიც იაფი ღირდა და ხელმისაწვდომი იყო ახალგაზრდებისთვის. ვინაიდან ამ ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს ძალიან ბევრი ახალგაზრდა, იყო მსჯელობა და შეთანხმება იმაზე, რომ, თუკი ნარკოტიკული საშუალებების მიღებისთვის არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და 11-წლინი სასჯელი, ე.წ. ბიოს მოხმარების შემთხვევაში სასჯელი განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსით და პატიმრობის ვადა იყოს 5 წელი. საბოლოოდ რა ცვლილებები შევა კანონში, ვერ გეტყვით, მაგრამ დღეის მდგომარეობით ასეთი პროექტი არსებობს და, ჩემი აზრით, ამ სახითვე გავა პროექტი.

**— გაერომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სიაში არ შეიყვანა ე.წ. ბიო, თუმცა ის მომაკვდინებელ შედეგს იძლევა. თავის დროზე რატომ არ მოხვდა ე.წ. ბიო აკრძალულ ნივთიერებათა სიაში?**

– ჯერჯერობით არ შეუყვანია გაეროს ეს ნივთიერება აკრძალულ სიაში, თორემ არავინ ამბობს, რომ მომავალში ე.წ. ბიო არ მოხვდება ამ სიაში. იმისთვის, რომ გაერომ ე.წ ბიო შეიყვანოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა სიაში, არსებობს ძალიან რთული პროცედურები, რომელიც ძალიან ბევრ დროს მოითხოვს. ამიტომ, ვიდრე ეს ნივთიერება ამ პროცედურებს გაივლის და მოხდება მისი ძირეული კვლევა ლაბორატორიულად, მანამდე ამდენი ხალხისთვის იქნება საფრთხე ეს ნივთიერება. მარტო ჩვენთან არ ხდება ეს, ეს ხდება ევროპულ ქვეყნებშიც. თუმცა ცალკეულ ქვეყნებს აქვთ არჩევანი, რომ ე.წ ბიო შეიყვანონ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სიაში. მაგალითად, ამერიკამ უკვე შეიყვანა აკრძალულ ნივთიერებათა სიაში, ევროპაშიც რამდენიმე ქვეყანამ შეიტანა, ირლანდიას შეყვანილი ჰყავს, საქართველომაც ჩათვალეთ, რომ უკვე შეიყვანა ე.წ. ბიო აკრძალულ ნივთიერებათა სიაში, თუმცა ძალიან ბევრი ქვეყანაა, სადაც ეს ნივთიერება თავისუფლად იყიდება.

**— ამ დროისთვის შესაძლებელია, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ეგვიპტიდან გამოწერა ამ ნივთიერების. როგორ გაკონტროლდება, რომ არასრულწლოვნისთვის არ იყოს შესაძლებელი ამ ნივთიერების მოპოვება?**

– ამის გაკონტროლებაც მოხდება. არსებობს გაეროს წინასწარი რეკომენდაციები ამის შესახებ. ეს რეკომენდაციები წინა მოწვევის პარლამენტის დროსაც იყო მოსული და ამის შესახებ ვსაუბრობდი, თუმცა ყური არავინ შეიბერტყა. ახლა ეს რეკომენდაციები მუშავდება შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამ თვალსაზრისითაც მოხდება კონტროლის დაწესება.

**— რას გულისხმობს ეს რეკომენდაციები?**

– დაწესდეს კონტროლი ინტერნეტზე და იმ ვებგვერდებზე, საიდანაც ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოწერაა შესაძლებელი.

**— ამ დროისთვის 66 ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა სხვადასხვა პრეპარატებზე, საიდანაც 57 შემთხვევაში დადგინდა, რომ კონკრეტული ნივთიერება შეიცავს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. ეს სია როდის იქნება ცნობილი და როდის შევა კანონში ცვლილება, რომ აფთიაქებში მათი შეძენა რეცეპტის გარეშე არ მოხდეს?**

– ვინაიდან შს სამინისტროში გაჩნდა ახალი აპარატურა, შესაძლებელი გახდა ტესტის ჩატარებაც ამა თუ იმ მედიკამენტზე. ეს სია ჯერ არ არსებობს, თუმცა უახლოეს მომავალში შედგება ეს სია და მოხდება ცვლილებების პროექტის ინიცირებაც პარლამენტში. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ მარტო 2013 წელს 70 ახალი მსგავსი ფსიქოტროპული მედიკამენტი მოიგონეს. ხდება თუ არა აკრძალვა ქვეყნების მიერ კონკრეტული მედიკამენტის, მაფია თავიდან იგონებს, ამიტომ, ალბათ, კიდევ დამატებითი ზომების მიღება იქნება საჭირო. მუდმივი პროცესია, თუმცა სასჯელის გამკაცრებაც გამოიღებს შედეგს. ახლა ყველა განწყობილია, რომ ე.წ. ბიოს აკრძალვა და მის მოხმარებაზე სასჯელის გაზრდა მოხდეს. ასევე, 60 მედიკამენტის ურეცეპტოდ გაცემა აიკრძალოს, ახლა ყველაზე საჩქარო ეს არის და, სავარაუდოდ, მომავალი კვირიდან უკვე შევა პარლამენტში ეს ინიციატივები და დაიწყება განხილვა.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

## ქუცნაშვილი ანტიკონსტიტუციურობის საფრთხეს ხედავს



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილი საინიციატივო ჯგუფებთან დაკავშირებით განსაზღვრული შეზღუდვის ანტიკონსტიტუციურად ცნობის საფრთხეს ხედავს. საუბარია საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, მერებისა და გამგებლების კანდიდატურების წარდგენის შესაძლებლობა საინიციატივო ჯგუფებს არ ეძლევათ.

„უნდა ჰქონდეს თუ არა მოქალაქეებს გამგებლისა და მერის არჩევნების მიმართულებით პასიური საარჩევნო უფლება გარანტირებული? მიმაჩნია, რომ საინიციატივო ჯგუფის ინსტიტუციის გაუქმება მერებისა და გამგებლების არჩევაში, პასიური საარჩევნო უფლების წართმევას უთანაბრდება და დიდი ალბათობით საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის ანტიკონსტიტუციურად ცნობის საშიშროებას გამოიწვევს. საინიციატივო ჯგუფებისთვის ასეთი უფლების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე გააუქმა და არ მინდა, ეს მეორედაც მოხდეს“, – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-ს თანამშრომელთა ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობის წესი იცვლება



შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებული ნაწილის თანამშრომელი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუ მისი დისლოკაციის ადგილი და საცხოვრებელი ადგილის რეგისტაციის მისამართი სხვადასხვა საარჩევნო ოლქში იქნება.

„საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილ ამ ცვლილებაზე იურიდიულ საკითხთა და რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დღეს დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ ისაუბრა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები, რომლებსაც აქვთ დისლოკაციის ადგილი, კენჭისყრის დღეს დისლოკაციის ადგილზე იმყოფებიან, მათი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და დისლოკაციის ადგილი არის სხვადასხვა საარჩევნო ოლქში, არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტაციის მისამართი და დისლოკაციის ადგილი ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქშია, ანუ ქუთაისელი პოლიციელი თუ სპეციალური რაზმის თანამშრომელი ვერ მიიღებს მონაწილეობას თბილისის მერის არჩევნებში და პირიქით“, – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ნარმანია წვევამდელთა პუნქტს ესტუმრა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია დიღმის მასივში არსებულ წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტს ეწვია და საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო. მინისტრის ინფორმაციით, 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევა საქართველოს მთავრობის 7 თებერვლის №136 დადგენილების შესაბამისად, 10 თებერვლიდან დაიწყო და 30 ივნისამდე გაგრძელდება.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სულ 2582 წვევამდელის გაწვევა მოხდება. მათგან შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევთა რაოდენობა 1200 წვევამდელით განისაზღვრა; სასჯელაღსრულების სამინისტროს დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 782 წვევამდელით, ხოლო თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გასაწვევი მოქალაქეების რაოდენობა 600 წვევამდელით.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან განთავისუფლების ან მისი გადავადების უფლება. მოქალაქე, რომელიც მიიღებს შეტყობინებას, მითითებულ ვადაში უნდა გამოცხადდეს გამწვევ კომისიაზე. გამოუცხადებლობის შემთხვევაში ჯარიმა 1000 ლარს შეადგენს.

ქვეყნის მასშტაბით ყველა თვითმმართველ ერთეულში შექმნილია და ფუნქციონირებს გამწვევი კომისიები. წვევამდელთა ჩარიცხვები ძალოვან უწყებებში დღეიდან დაიწყო და ივნისის ბოლომდე გასტანს. (ინტერპრესნიუსი)

## კოდექსში ძირითადი აქცენტი პატიმართა უსაფრთხოებაზე გაკეთდება



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელიას განმარტებით, შესწორებულ ვარიანტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პატიმართა ფუნდამენტური უფლებების შენარჩუნებას და ძირითადი აქცენტი მათ უსაფრთხოებაზე გაკეთდება. შესწორებულ ვარიანტში შენარჩუნდება პატიმრების მიმართ ისეთი სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა წიწაკის გაზი, თუმცა სპეციალური საშუალებების გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს.

„საკმაოდ წონადი შენიშვნებია გათვალისწინებული. დამატებით მოხდა ჩვენი კომიტეტის მოსაზრებების გაზიარებაც. კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც საუბარია პატიმართა ფუნდამენტური უფლებების შენარჩუნების თაობაზე, როგორიც იყო ადვოკატის უფლება, მოწმეების უფლება, რომელიც არის საერთაშორისო სტანდარტი. საუბარი იყო სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე, ჩამონათვალზე და ამავე დროს კონკრეტულ დასაბუთებაზე, რომელიც ჩანაწერში იქნება ძალიან მკაფიოდ გაწერილი“, – განაცხადა ბესელიამ. (ინტერპრესნიუსი)

# რა ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებენ არასაპარლამენტო ოპოზიციას?

**18 თებერვალს არასაპარლამენტო პარტიების ლიდერები ვენეციის კომისიის წევრებს შეხვდნენ. ეს შეხვედრა ძირითადად მოსმენითი ხასიათისა იყო და სტუმრებს არც ერთ საკითხზე თავიანთი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.**

**„ალიას“ ესაუბრება შეხვედრის მონაწილე, „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ვეფხვაძე:**

– ხელისუფლება, ერთი მხრივ, დაეთანხმა ჩვენს შეთავაზებას 50%-ზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მოედანს ისუფთავებს საკუთარი მიზნებისთვის. პარტიებს უსპობს შანსს, რომ მერებისა და გამგებლების კანდიდატები ჰყავდეს და ამავე დროს უქმდება საინიციატივო ჯგუფებიც, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ეუთოსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. თავად ფაქტი, რომ ვენეციის კომისიის წევრები ჩვენ შეგვხვდნენ, მისასალმებელია, ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. მე ვიყავი პარლამენტში და მაშინ საყვედურსაც კი გამოვთქვამდი, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას არ ხვდებოდნენ. 19 თებერვალს ვენეციის კომისია ატარებს კონფერენციას, როგორც ვიცი, იქნება ნინო ბურჯანაძის გამოსვლა, შალვა ნათელაშვილის გამოსვლა, მათაც მოუსმენენ და მერე იქნება მსჯელობა. კარგია, რომ 50-პროცენტიან ბარიერზე წამოვიდა ხელისუფლება, ეს ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების დამსახურებაა.

**— მოდი, პარტიების მერობის კანდიდატებს ამომრჩევლის მხრიდან შევხედოთ. მე რაში მჭირდება მერი, ან გამგებელი, რომელიც რომელიმე პარტიის წარმომადგენელი იქნება?**

– ეს სხვა საკითხია... შენ გულისხმობ იმას, რომ საინიციატივო ჯგუფები ველარ წარადგენენ კანდიდატურებს.

**— არა, ეგ ვიცი, რომ გაუქმდა, მე ვლაპარაკობ პარტიულ სიაზე, სადაც მერობისა და გამგებლების კანდიდატები ვეღარ ჩაეწერებიან. ჯერ ერთი, წაუგებელ თამაშს თამაშობენ, თუ მერი ვერ გახდა, სიით შეიძლება გავიდეს, პარტიის ლიდერი. თუ მერობა უნდა, მერობისთვის იბრძოლოს, სიაში რატომღა ეწერება? ახლა მეორე — დავუშვათ, გიორგი თარგამაძე გახდა თბილისის მერი, რატომ უნდა გამოიყენოს მან თანამდებობა პარტიული ინტერესებისთვის?**

– თუ ვინმეს თანამდებობა რალაც ინტერესებისთვის სჭირდება, ამას ისედაც გააკეთებს. გარდა ამისა, აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ლიდერებზე, რეგიონებში ჩვენ გვყავნან წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ, იყვნენ პარტიულ სიაშიც და იყვნენ კანდიდატებიც.

**— ისე, საინიციატივო ჯგუფების გაუქმება თქვენ გაწყობთ.**

– კი, ჩვენ გვაწყობს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები და ვენეციის კომისია ამას არადემოკრატიულ ნაბიჯად თვლიან.

**— ახლა რა შანსები გაქვთ, რომ რამეს მიაღწიოთ? ხელისუფლებას შეუძლია, ვენეციის კომისიის რეკომენდაციები საერთოდ არ გაითვალისწინოს.**

– ხელისუფლებას არც 50-პროცენტიანი ბარიერის შემოღება უნდოდა, 40 პროცენტზე იყვნენ ჩაციკლულები, მაგრამ ბოლოს მაინც დასთანხმდნენ. ვნახოთ, ვენეციის კომისიის წევრები შეხვდებიან პრეზიდენტსაც, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც... ჩვენ რაც შეგვიძლია, უნდა ვიბრძოლოთ, რომ მივიღოთ ნორმალური საარჩევნო კოდექსი. იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ამ საქმეში დაგვეხმარებიან, როგორც კი ამერიკის ელჩმა პარასკევს თავისი კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა, მაშინვე დათმეს ბარიერის საკითხი. როგორც ვიცი, ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკაში ვიზიტისთვის ემზადება და ეს დათმობა ამასაც უკავშირდება. ამიტომ მე ვფიქრობ, სხვა დათმობებიც იქნება.

**„ალია“ კომენტარისთვის საპარლამენტო უმრავლესობისა და ინტერფრაქციული ჯგუფის წევრს, ზურაბ ტყემალაძესაც დაუკავშირდა:**



**— ბატონო ზურაბ, ორ საკითხზე მინდა თქვენი კომენტარი: საინტერესოა, როგორ ამართლებთ იმ არადემოკრატიულ ნაბიჯს, რასაც საინიციატივო ჯგუფების გაუქმება ჰქვია?**

– არა, არა, საკითხი ასე არ დგას, მაგათ ამის უფლება არც ჰქონიათ და ახლა უნდათ, მერობის კანდიდატებიც გახდნენ და პარტიული სიებითაც იბრძოლონ. კანონში რაც ეწერა, ისევ ისე დარჩა, ხელი არავის არ უხლია. საკრებულოს მაჟორიტარები შეუძლიათ, რომ საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინონ. ეს მაგათი მოთხოვნა იყო, განცხადებაც შემოიტანეს. როცა ჩვენ ოპოზიციაში ვიყავით, ჩვენც ვითხოვდით, რათა პარტიები უფრო განვითარებულიყვნენ. ჩვენ ასეთი რამ მხოლოდ მერებსა და გამგებლებზე არ დავუშვით, ამ მხრივ საინიციატივო ჯგუფებისთვის ნებართვა რომ დავუშვათ, იქნება 100 კანდიდატი და ერთი ვაი-უშველებელი.

**— არასაპარლამენტოები აღშფოთებულები არიან, თუ მერობის კანდიდატები იქნებიან, პარტიულ სიაში ველარ ჩაეწერებიან.**

– არ გამოდის, კაცი თან პრეზიდენტობაზე იყრიდეს კენჭს და თან პარტიას აძლიერებდეს. ეს კანონი, რომელიც შესწორდა, წინა ხელისუფლების დროსაც მუშაობდა.

**— ლევან ვეფხვაძე ამბობს, 50 პროცენტი ძალით დავათმობინეთო.**

– არა, ირაკლი ღარიბაშვილმა გადაწყვიტა, რომ ასე ყოფილიყო. ხომ ამბობდნენ, ეშინიათო? ირაკლიმ თქვა, არ მინდა, ერთი შეკითხვაც კი დარჩესო. მეტსაც გეტყვი, ეგენი რაღაცებს მალავენ... საარჩევნო უბნებზე წარმომადგენლებს ითხოვდნენ, 2-2 წარმომადგენელი დავუფინანსეთ, თითოეული მიიღებს 150 ლარს. თუ პარტია 3 პროცენტს გადალახავს, დანახარჯს წარმოადგენენ და ესეც აუნაზღაურდებათ. უფასო სარეკლამო დროისთვისაც გამოიყო თანხები და ისიც კი დავავალდებულეთ, რომ ამ თანხების 15 პროცენტი რეგიონულ მედიაში დახარჯონ. ამით რეგიონული მედიაც იხეირებს. ხომ იცი, რეგიონებში როგორ უჭირთ?

**— ჩვენ რა, გადასახადებს არ ვიხდით? არც ჩვენ გვილხინს.**

– სხვათა შორის, რეგიონული მედიის წარმომადგენლებმა იაქტიურეს და ასე გადაწყდა.

**— ესე იგი, ჩვენ რომ არ ვიცოდით და ვერ ვიაქტიურეთ, უნდა დავიჩაგროთ? ამ მხრივ, დიდი იაღლიში მოგსვლიათ.**

– (იცინის) არა, ასე ვერ გავაკეთებდით... მათ მივეცით უფლება, სადაც უნდათ, იქ დახარჯონ. მოკლედ, მაგათ რაც არ უნდათ, არ ხედავენ და დარწმუნებული ვარ, არც მადლობას იტყვიან.

**P.S. კარგია, როცა კოალიცია რეგიონული მედიის განვითარებაზე ზრუნავს, ღმერთმა შეარგოთ ჩვენს კოლეგებს ორიოდ ლუკმა, მაგრამ კარგი იქნებოდა, იგივე ზოგადად მედიისთვისაც გაკეთებულიყო და პარტიებს თავად აერჩიათ, სად და როგორ დაეხარჯათ.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნონა ყანდიაშვილმა თანამდებობა დატოვა



მთავრობის პრესსამსახურის უფროსმა ნონა ყანდიაშვილმა თანამდებობა დატოვა. მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მაია ბიგვავას განცხადებით, ყანდიაშვილი მედიასთან ურთიერთობის კონსულტანტის პოსტს დაიკავებს. მთავრობის პრესსამსახურის უფროსის თანამდებობა ამ დრომდე ვაკანტურია. ბიგვავას განცხადებით, ვინ დაიკავებს ამ პოსტს, ჯერჯერობით უცნობია. (ფრონტნიუსი)

## ფანჯიკიძე ევროპარლამენტში სიტყვით გამოვიდა



17 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. სამინისტროს ცნობით, გამოსვლაში მინისტრმა ძირითადად ისაუბრა საქართველოს ევროინტეგრაციის დღის წესრიგში არსებულ პრიორიტეტებზე, შემდგომ გეგმებსა და მიზნებზე, ვილნიუსის სამიტზე მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

„მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სწრაფვა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედს“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს ხელისუფლების მტკიცე მზაობას, ხელი შეუწყოს საერთო ევროპული ფასეულობების დამკვიდრებას და მეტი ინტენსივობით გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმების პროცესი, ევროინტეგრაციის დღის წესრიგის შესაბამისად.

„ყოველთვის, როდესაც საქართველოს უჭირს, ევროპარლამენტი მის გვერდით დგას და საქართველოსთვის სასარგებლო რეზოლუციებს იღებს. აქედან გამომდინარე, პერიოდულად მათი ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე აუცილებელია. ეს იყო კარგი შესაძლებლობა, რომ იმ ადამიანებისთვის ევროპარლამენტში, ვინც საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, მიგვეწოდებინა შესაბამისი ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ და განსაკუთრებით ახლა, როდესაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან ასე ახლოს ვართ“, – განაცხადა ფანჯიკიძემ სიტყვით გამოსვლის დასრულების შემდეგ. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

„ალიას“ ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი **გიორგი ჩახაია** ესაუბრა:

**— ბატონო გიორგი, რა აღმოაჩინეთ, რაში დახარჯა ფული შალვა ფიფიას უწყებამ?**

– სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ 2013 წელს გაწეული ხარჯების ანალიზისას, გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტი თანხა დაიხარჯა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენასა და მათ მოვლა-პატრონობაზე. სულ 2013 წელს, სამინისტრომ და მისმა უწყებებმა, შეიძინეს 2 013 139 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. იმავე 2013 წელს, ამ დაწესებულებების მიერ, მათ ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რეცხვისთვის, დაიდო 298 411 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო 5 425 214 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები საწვავის შეძენაზე. რაღაც დოზით კვლავ გაგვაცურა ხელისუფლებამ.



**— რას გულისხმობთ?**

– ის ახალი წესი, რაც ავტომობილების შეძენა-ფლობაზე მიიღეს რამდენიმე ხნის წინ, გადავიკითხე და თურმე მინისტრებსა და მათზე მაღალი თანამდებობის პირების ავტომობილებზე არ მოქმედებს. ამ წესის მიხედვით, ყველაზე მაღალი კლასის ავტომობილად ითვლება პირველი კატეგორიის ავტომობილი, პირველივე კატეგორია იწყება მინისტრის მოადგილეებიდან და მათთან გათანაბრებული პირებიდან. ანუ გამოდის, რომ ჩვენს მინისტრებსა და ა.შ. პირველ კატეგორიას კიდევ უფრო უმაღლესი კატეგორიის ავტომობილები ეკუთვნით, რომელსაც მე პირადად დღემდე არ ვიცი, რომელი კატეგორია შეიძლება ვუწოდოთ.

**— მანქანებისა გარდა, რაში დაიხარჯა ფული და რამდენი?**

– სულ სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, 2013 წელს, შეძენილია 22 100 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის აპარატები, მათ შორის 24 ცალი, სხვადასხვა მოდელის მობილური ტელეფონი „სამსუნგი გალაქსი“. თუ სხვა სამინისტროებში ე.წ. მოდაში არის „აიფონები“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში თურმე მოდაში ყოფილა „გალაქსები“. გარდა მობილური ტელეფონის აპარატებისა, 2013 წლისთვის, სულ შეძენილია 279 324 ლარის ღირებულების საოფისე ტექნიკა, მათ შორის 262 960 ლარი დახარჯულია კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე. გარდა ამისა, სამინისტრომ და მისმა უწყებებმა, 2013 წელს შეიძინეს 127 861 ლარის ღირებულების ავეჯი.





**— რაც შეეხება ქეიფსა და დროსტარებას? ამაზე რამდენი დაიხარჯა?**

– 2013 წელს დაიდო ხელშეკრულებები 53 469 ლარის სარესტორნო მომსახურებასა და ფურშეტების მოწყობაზე. სულ შეძენილია 18 163 ლარის საჩუქრები, ხოლო 51 372 ლარის ღირებულების – სხვადასხვა საკვები პროდუქტები და ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები. სასტუმრო ნომრის მომსახურებასა და სასტუმროში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე დაიდო 66 942 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.

სასტუმროს ხარჯებს რაც შეეხება, ამ მიმართულებით დახარჯული თანხა, თითქმის სრულად ათვისებული აქვს „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“. ანუ ლოგიკურია, რომ ამ სააგენტომ ქართული ღვინის პოპულარიზაციაზე უნდა იზრუნოს და შესაბამისად, დასჭირდეს უცხო ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრების დაბინავება, მაგრამ, ალბათ, სახსრების მეტი ოპტიმიზაცია იყო საჭირო ამ კუთხით. აი, დავუშვათ, უცხოელი სტუმრების, სულ რაღაც, 3 გამასპინძლება-დაბინავებაში, დაიხარჯა 45 292 ლარი სასტუმრო ნომრებით მომსახურებაზე. სასტუმროების კლასი როგორც ყოველთვის უმაღლესია.

**— რამდენად გამართლებული გგონიათ ამ ხარჯების გაწევა ქვეყანაში, რომელსაც ასე უჭირს?**

– მორალურ და ეკონომიკურ მხარეზე შემიძლია ვთქვა, ზოგადად, ყველაზე პრობლემატურ სახელმწიფო ავტოპარკის ხარჯებზე, რაც ამ სამინისტროს შემთხვევაშიც საკმაოდ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ახალი ხელისუფლების მიერ, ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სულაც არ არის საჭირო ურიცხვი რაოდენობის ავტომობილების შეძენა. სოფლის მეურნეობის განვითარებას სულ სხვა მოქმედებები სჭირდება ხელისუფლების მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის უწყებებს, სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით, რამე განსაკუთრებულად განსაცვიფრებელი ხარჯები არ აქვთ გაწეული, შემიძლია, დავაფიქსირო ჩემი სუბიექტური მოსაზრება, რომ, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა-ფლობასთან დაკავშირებული ხარჯისა, შეიძლებოდა გარკვეული ეკონომია გაკეთებულიყო მობილური ტელეფონების შეძენაზე, ვინაიდან, „სამსუნგის“ „გალაქსით“ სარგებლობის გარეშეც ადვილი შესაძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება. ასევე, არ არსებობს არანაირი საჭიროება საჯარო დაწესებულებათა მაქსიმალური კომპიუტერიზაციის. რაც შეეხება სარესტორნო მომსახურებას, მოწყობილ ფურშეტებსა და სასტუმრო ხარჯებს, როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი სტუმრის გამასპინძლება უნდა მოხდეს სიმბოლურ ვახშამზე და მათი დაბინავება საშუალო კლასის სასტუმროებში და არა რამე ძვირადღირებულ სასტუმრო-რესტორნებში, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო ჯამში, საქართველოში ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და სახელმწიფო კომპანიების მიერ ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები გრანდიოზულ ციფრებს აღწევს.

## სოფლის შენებას რა უნდა?

## კაი მხარჯველი სამინისტრო!!!

»» **ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 90 დევნილ ოჯახს ბინა გადაეცა



90-მა დევნილმა ოჯახმა თბილისში, თემქის დასახლებაში სახელმწიფოსგან საცხოვრებელი ბინა მიიღო. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 142-ე საშუალო სკოლის ყოფილ შენობას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა და საცხოვრებლად გადააკეთა. ობიექტზე სარემონტო სამუშაოები დასრულებულია და ესპლუატაციისთვის მზად არის. 4-სართულიან შენობაში 15-ერთოთახიანი, 67-ოროთახიანი და 8-სამოთახიანი ბინაა.

„ლტოლვილთა განსახლების პროცესი გასულ წელს დაიწყო საქართველოს მთავრობამ და უკვე 1546 ოჯახს გადავეცით საცხოვრებელი ბინა, ახლა კი 90-მა ოჯახმა, ანუ საერთო ჯამში 300-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო საცხოვრებელი ბინა, რომელიც მათ გადაეცემათ კერძო საკუთრებაში და განკარგავენ ისე, როგორც ჩათვლიან საჭიროდ. ამავდროულად, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზეც, რომ სულ მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ შევრიგდებით, დავიბრუნებთ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობას, დავბრუნდებით მშობლიურ მიწა-წყალზე და ამ ადამიანებს ეს ქონებაც ექნებათ და იქაც დაიბრუნებენ თავიანთ სახლ-კარს“, – განაცხადა ლტოლვილთა მინისტრმა დარახველიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „ხელისუფლების შეცდომებს მძიმე შედეგები მოჰყვება“




„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ვარაუდობს, რომ ხელისუფლების ქმედებები ძალიან მძიმე შედეგების მომტანი იქნება. მისი თქმით, ხელისუფლება ძალიან დიდ შეცდომებს უშვებს და ამას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება, როგორც ქვეყნისთვის, ისე „ქართული ოცნებისთვის“.

მისი თქმით, თვითმმართველობის არჩევნების წინ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეშინიათ „დემოკრატიული მოძრაობის“, რაც მათი ყველა ქმედებიდან ჩანს.

„აქ ლაპარაკია იმ შიშზე, რომელმაც ასე გააფთრებით აბრძოლა „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მათ ეშინიათ იმის, რომ არ გაფორმდეს „დემოკრატიული მოძრაობა“ როგორც უმნიშვნელოვანესი ოპოზიციური ძალა და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ გაფორმდეს, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, რადგან „ქართულ ოცნებას“ აწყობს ისეთი ოპონენტი, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ციხეების მართვა საერთაშორისო სტანდარტით მოხდებათ



სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიგა გორგაძის განცხადებით, დაბალი რისკის დაწესებულებაში პატიმრებს სხვადასხვა პროფესიის შესწავლისა და დასაქმების უფლება ექნებათ. მისივე თქმით:

„უმნიშვნელოვანესია, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებით ციხეების მართვა საერთაშორისო სტანდარტით მოხდება. პატიმართა კლასიფიცირება საშიშროების რისკების მიხედვით განისაზღვრება. იქნება ახალი ტიპის დაწესებულებები: დაბალი რისკის დაწესებულება და განსაკუთრებული რისკის დაწესებულება. პატიმრები იქ იმის მიხედვით მოხვდებიან, თუ როგორ იქცევიან საპატიმროებში. დაბალი რისკის დაწესებულებაში განთავსდებიან პატიმრები, რომლებიც საფრთხეს არ წარმოადგენენ სხვა პატიმრებისა და ადმინისტრაციისთვის. აქვე მათ საშუალება ექნებათ, სხვადასხვა პროფესიას დაეუფლონ და დასაქმდნენ. რაც შეეხება განსაკუთრებული ტიპის დაწესებულებას, იქ ის პატიმრები მოხვდებიან, რომლებიც ცდილობენ ადმინისტრაციას ხელი შეუშალონ მართვაში, ასევე, ცდილობენ კრიმინალური სამყაროს გავლენის გაძლიერებას და თავიანთი წესების მოხვევას სხვა დანარჩენი პატიმრებისთვის, რომელთაც არ აქვთ ამის სურვილი და აიძულებენ, დაემორჩილონ. აქედან გამომდინარე, მოხდება იზოლირება და ისინი მოხვდებიან უმკაცრეს პირობებში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით არის განსაზღვრული“, – აღნიშნა სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# სკოლის სახელმძღვანელოებს ცვლიან?

**ხომ ვამბობდი, განათლების სამინისტრომ სისწრაფე აკრიფამეთქი? განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძის განცხადებით, სასკოლო სახელმძღვანელოები შინაარსობრივი თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში პრობლემატურია და აღნიშნულ საკითხზე სამინისტროში მუშაობა მიმდინარეობს. „ეს არის ძალიან კომპლექსური სამუშაო. კონკრეტულად რა ცვლილებები იქნება განსახორციელებელი, ამის შესახებ რეკომენდაციებს ველოდებით. პროცესში ჩართული არიან დონორი ორგანიზაციებიც. პრობლემა არ არის მხოლოდ ქიმიის ან გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში“, — განაცხადა მინისტრმა.**

**კონკრეტულად, რა უნდა შეიცვალოს და როგორ? ამაზე სამინისტროში ჯერ ვერ საუბრობენ.**

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა ექსპერტს განათლების საკითხებში, მანანა ნიკოლაიშვილს:**



– რეკომენდაციებს ველოდებითო, მინისტრმა რომ თქვა, ამ რეკომენდაციებს მე მივცემ: სახელმძღვანელო ვერ შეიცვლება ისე, თუ პირველ რიგში არ შეიცვალა საგნობრივი სტანდარტები, რომელიც შედის ერთიან სასწავლო ეროვნულ გეგმაში და რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით და, თუ ეს არ მოხდა, კარგ წიგნს ვერ მივიღებთ. ამის შემდეგ საჭირო ქნება პროგრამების ცვლილება, მერე უნდა დაიწეროს საგნობრივი კონცეფციები და მეოთხე დონე არის ის, რაზეც დავიწყეთ საუბარი: სახელმძღვანელოების შეცვლა. ასევე, სწავლების ფაზებია გადასახედი, რადგანაც ბავშვი რომ მე-8 კლასში იწყებს ფიზიკის სწავლას, ამ დროს მისი ტვინი დ ა ბ ე რ ე ბ უ ლ ი ა ამისთვის და ხარისხს ვერ მიიღებ. ადრე ფიზიკა მე-6 კლასიდან იწყებოდა, სხვა საგნებიც ადრეული ასაკიდან იწყებოდა და ბავშვის ტვინი ამისთვის მზად იყო.

— **რატომ არის სახელმძღვანელოები შინაარსობრივად ცუდი?**

– სააკაშვილის მმართველობის დროს სახელმძღვანელოების ცვლა მოხდა რამდენიმეჯერ, მაგრამ ახალი სახელმძღვანელოების შემოტანა დასრულდა კრახით. იმიტომ, რომ მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც ისინი იყო დაწერილი, ყველა ერთნაირი იყო და ეს წარმოუდგენელია, მით უმეტეს მეცნიერებაში. ასე, რომ ახალი მეთოდოლოგიები საქართველოში ასევე შემოსატანია და ეს საკმაოდ სოლიდური თანხა ღირს. ამავე დროს კიდევ ერთი მომენტია: რეკომენდაციები უნდა აიღოს ქართველი სპეციალისტებისგან და ჩვენი პრაქტიკოსი მასწავლებლებისგან, ფსიქოლოგებისგან და პრაქტიკოსი მედიკოსებისგან, რადგანაც წიგნის მიწოდების დროს თუ ბავშვებს ჯანმრთელობა დავუნგრიეთ, რას მივიღებთ? რაც შეეხება სახელმძღვანელოების შინაარსს, ეგ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ყველაზე მძიმე და სატანჯველი როგორც ბავშვებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის ხდება საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოები. ამ ნუსხაში შედის ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. იმდენად გაუგებარი, დაუხვეწავი, მეცნიერულად გაუმართავი სტანდარტები და სახელმძღვანელოებია ამ მხრივ, რომ, როგორი ძლიერი და მოტივირებული ბავშვი და უძლიერესი მასწავლებელიც არ უნდა იყოს, ამ სახელმძღვანელოებით სწავლა არის ყოვლად შეუძლებელი. შედეგი თუ ბავშვების 80%-ს პრობლემა აქვს ხერხემალზე და ეს მძიმე ჩანთებმა გამოიწვია, ამიტომ ესეც გასათვალისწინებელია, რომ ეს წიგნები სულ სხვა ფორმატით უნდა დაიბეჭდოს. წიგნის პროგრამა, სტანდარტი, მოცულობა და სასწავლო დრო არ შეესაბამება ერთმანეთს და ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და რეკომენდაციებზე რომ საუბრობს სანიკიძე, ვის რეკომენდაციებს ელოდება? ეს აქვს რომელიმე ბავშვს, აუცილებლად მშობელმა უნდა მოამზადოს. ზოგიერთ მასწავლებელს კონსპექტები მიაქვს ამ საგნების, ხდება დაქსეროქსება და ესეც ხომ ხარჯებია? მიდის ტანჯვა-წამება. ამიტომ არის ამ საგნებში ასეთი კატასტროფული შედეგები. „ოცნებამ“ მოსვლის დროს არ ჩაატარა გამოცდები, მოსწავლეები რბილად გავიდნენ, მაგრამ წელს რომ ჩატარდა გამოცდები, გახსოვთ, როგორი შედეგები იყო?



— **საშინელი.**

– კი, ბატონო, კატასტროფული! ბავშვების უმეტესობა ჩაიჭრა, განსაკუთრებით ამ სამ საგანში. გაზაფხულზე ეს ბავშვები ამ საგნებში უნდა გავიდნენ გამოცდებზე და რას უნდა ველოდეთ? რა, წიგნი შეიცვალა, თუ სტანდარტი? ან პროგრამა? რა? საწყალმა მშობელმა უნდა გაიძროს ტყავი და უნდა ამზადოს ეს ბავშვები!

— **და ბავშვის ჯანმრთელობას არ ურტყამს ეს?**

– რასაკვირველია, ურტყამს. დილის 9 საათიდან ლამის ოთხამდე სკოლაში იყავი, მერე წადი მოსამზადებლად, საათ-ნახევარი ერთ საგანში იყავი, კიდევ ამდენივე მეორე საგანში და ეს ყველაფერი რატომ? სახელმძღვანელო რომ არ გივარგა, იმიტომ. ვინმეს დაუანგარიშებია, რა ჯდება ეს ყველაფერი? არაფერს ვამბობ, თუ როგორ უნდა იშოვოს მშობელმა ის ფული და ეს სხვა თემაა. მაგრამ ამასობაში ბავშვის ჯანმრთელობა რომ გეცლება ხელიდან? წლიდან წლამდე უარესდება მათემატიკის წიგნები. მაშინ როცა მთელ მსოფლიოში მათემატიკაში გვქონდა ყველაზე ძლიერი სახელმძღვანელოები და მერე რა მივიღეთ? დღეს რა, ქართველი მათემატიკოსები სახელმძღვანელოს ვერ დადებენ? მაგრამ ის ცუდი სტანდარტი არ იძლევა ამის საშუალებას. თითქმის ყველა სახელმძღვანელო უვარგისია და მივესალმები სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ ამ მხრივ შეიცვალოს საქმე, მაგრამ ჩაგვრთონ ჩვენც, ქართველი სპეციალისტები, რეკომენდაციებში, ეს მხოლოდ წაადგება საქმეს. მე ასე მგონია.

»» თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტმა კომისიის სხდომის მოწვევის ვადა დაარღვია



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სხდომის მოწვევის ვადა დაირღვა. საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა და კომისიის დებულება პარლამენტმა 27 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა. 10 იანვარს გამოქვეყნდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, კომისიის პირველ სხდომა, კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, დებულების ამოქმედებიდან არაუგვიანეს 15 დღისა უნდა გამართულიყო, ანუ საკონსტიტუციო კომისიის წევრები 25 იანვარამდე უნდა შეკრებილიყვნენ.

საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელის, პარლამენტის სპიკერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, კომისია ძალიან მალე შეიკრიბება, თუმცა სხდომის გამართვის კონკრეტული თარიღი უსუფაშვილს არ დაუსახელებია.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის მიზანს კონსტიტუციის ფუნდამენტური გადახედვა წარმოადგენს. დებულების მიხედვით, უნდა მომზადდეს კონსტიტუცია, რომლითაც გაიზრდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების გარანტიები, გაუმჯობესდება ხელისუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამიჯვნისა და გაწონასწორების მოდელი, დაიხვეწება დამოუკიდებელი ინსტიტუტების კონსტიტუციური სტატუსი და ფუნქციები. მოწესრიგდება საკითხები, რაც კონსტიტუციის რეგულირების მიღმა რჩებოდა. დამკვიდრდება კონსტიტუციის გადასინჯვის გონივრული მოდელი, რომელიც ერთნაირად უზრუნველყოფს კონსტიტუციის სტაბილურობასა და მოქნილობას. ამავდროულად, აღმოიფხვრება კონსტიტუციის ტექსტის ხშირი ცვლილებებით გამოწვეული ხარვეზები და შეუსაბამობები.

რაც შეეხება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობას, პარლამენტიდან მასში 20 დეპუტატი შევიდა, კომისიაში წევრები ყველა საპარლამენტო ფრაქციიდან არიან წარმოდგენილი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, ასევე, უნდა ჩაერთონ ის სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებული კონსტიტუციასთან დაკავშირებული საკითხებით. კომისიის შემადგენლობაში მიიწვიეს არასაპარლამენტო – ე.წ. კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, სამართლის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

როგორც პარლამენტში საკითხის განხილვის დროს ითქვა, ახალი საკონსტიტუციო პროექტი 1-ელ სექტემბრამდე უნდა იყოს მზად. (ინტერპრესნიუსი)

## კიდევ ერთი ახალგაზრდა ბიონარკოტიკის გამო გარდაიცვალა?




დიღმის მასივში 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ბიონარკოტიკის მოხმარების შედეგად გარდაიცვალა. შინაგან საქმეთა სამინისტრო მამაკაცის გარდაცვალებას ადასტურებს, თუმცა სამინისტროში აცხადებენ, რომ გარდაცვალების მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# რისთვის შეხვდა სააკაშვილი ამერიკაში ქართველების მკვლელს?

**„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ყოფილი ხელმძღვანელის, აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ ნაბრძოლი იაგანოვის შეხვედრას ეხმიანება და აცხადებს, რომ „სააკაშვილმა საკმაოდ სახიფათო თამაში წამოიწყო“. რა მიზანი ჰქონდა სააკაშვილისა და იაგანოვის შეხვედრას?**

**„ალიას“ შეკითხვებს „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი პასუხობს:**

– ჩვენ მივესალმებით ნებისმიერი სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას, მაგრამ ეს ქართველების წინააღმდეგ ნაომარი ადამიანი ყოფილ პრეზიდენტს ამერიკაში რატომ შეხვდა? სააკაშვილმა წამოიწყო სახიფათო თამაში. სახიფათო თამაშში ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ჰყავს მოქმედი ხელისუფლება და თუკი შეხვედრაა გასამართი, ამ შეხვედრას გამართავენ ოფიციალური პირები. გარდა ამისა, იაგანოვი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ის შეერთებულ შტატებში ჩავიდა, უკან უნდა დაბრუნდეს, ექნება სერიოზული პრობლემები, თუკი ეს შეთანხმებული არ არის რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ან რუსეთის სპეცსამსახურებთან, ხოლო, თუ მათთან შეთანხმებულია ეს ყველაფერი, მით უმეტეს საფრთხის შემცველელია. ჩვენ ეჭვის თვალით ვუყურებთ ამ შეხვედრას. ევროპაშიც, ამერიკაშიც და აზიაშიც ძალიან ბევრი კავკასიელია, უფრო ავტორიტეტული, უფრო ჭკვიანი და უფრო გავლენიანი. ასე რომ, მათთან მოლაპარაკებები ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მომავალზე და ჩრდილოკავკასიელების სამომავლო ურთიერთობებზე, ვიდრე იაგანოვთან შეხვედრა.

— **ყოფილ პრეზიდენტსა და იაგანოვს რაში დასჭირდათ საიდუმლო შეხვედრა, როცა ღიადაც შეიძლებოდა შეხვედროდნენ ერთმანეთს?**

– საეჭვო ვითარებაა ის, რომ მიხეილ სააკაშვილმა წამოიწყო ახალი პოლიტიკური თამაში, რომელსაც ჰქონდა ორი მიზანი. პირველი, ამ შეხვედრის შესახებ აუცილებლად გახდებოდა ცნობილი და მისი მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობაზე შთაბეჭდილება მოხდენა, ეს პიარის ნაწილია, მეორე მხრივ, სააკაშვილი, როგორც ჩანს, თავის ყოფილ პატრონებს ახალი თემების წამოწევით თავს აწონებს და ცდილობს, დატვირთვა მიიღოს, ახალი ფუნქცია შეიძინოს კავკასიაში. სააკაშვილს სურს მშვიდობისა და სტაბილურობის ავანგარდი გახდეს. ესეც სახიფათო თამაშია, ვინაიდან მას რეალური მექანიზმი არ გააჩნია, რომ კავკასიაში პროცესების მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს. თუკი სააკაშვილს მიიღებენ და აღიქვამენ ახალ ამპლუაში, ის შეეცდება, სცენარს გაჰყვეს და გარკვეული ძალების ინტერესებით იმოქმედოს და არა კავკასიელების ინტერესებით.

— **მას შემდეგ, რაც მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა და ვანო მერაბიშვილს პატიმრობა მიესაჯა, გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ხელისუფლებასა და ქვეყანას ეს გადაწყვეტილება ძვირად დაუჯდება, მოგვიანებით ვიდეო გავრცელდა, სადაც კობა ხაბაზი იმუქრება. რატომ იმუქრებიან „ნაციონალები“ და ხომ არ არის კავშირი საქართველოში მყოფი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მუქარასა და ამერიკაში მყოფი ექსპრეზიდენტის ფარულ შეხვედრებს შორის?**

– ესეც ეჭვის საფუძველია, სწორედ ამ მიმართულებითაც გამოვთქვით ჩვენ ეჭვი. სააკაშვილი აიმედებს თავის თანაგუნდელებს და რამდენიმეხნიანი ტაიმ-აუტის შემდეგ გააქტიურებას ჰპირდება. ეს კი არ იქნება ქვეყნისთვის და რეგიონისთვის კარგი. ჩვენ ძალიან გვეპარება ეჭვი იმაში, რომ მათ ამის ძალა და უნარი შესწევდეთ. უფრო მეტ უბედურებაში გაეხვევიან, ვიდრე ლაფანყურის ოპერაცია იყო.

— **თქვენ ამბობთ, რომ რუსეთის სპეცსამსახურები „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ გააქტიურებას ცდილობენ. უფრო კონკრეტულად გვითხარით, რაში გამოიხატება მათი გააქტიურება, მიზანი რა არის?**

– მთელ კავკასიაში ანტიქართული განწყობით ერთადერთი სწორედ ეს ორგანიზაცია იყო და მათ ეს პრაქტიკულადაც დაამტკიცეს 1990-იან წლებში ქართველების წინააღმდეგ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციების დროს. ამ ორგანიზაციის გარდა, პრორუსული ორიენტაციის კავკასიური ორგანიზაციებიც კი საქართველოს მიმართ პატივისცემითა და სიმპათიებით არიან განწყობილი, არაფერს ვამბობ პროდასავლური ორიენტაციის კავკასიელებზე, რომლებისთვისაც ეს ორიენტაცია საქართველოზე გადის. რატომ მაინცდამაინც ანტიქართული განწყობის ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა სააკაშვილი და რატომ არ შეხვდა იმ სხვა კავკასიელებს, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობენ საერთაშორისო სამართლის საკითხებზე კავკასიის ფარგლებს გარეთ და რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ? ესეც სერიოზული ეჭვის საფუძველია. შემთხვევით არაფერი ხდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სააკაშვილისა და იაგანოვის შეხვედრა შეხვედრისთვის იყო, ძალიან ცდება, ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. იაგანოვისნაირი ადამიანი ასეთ ფუჭ რისკებს არ გასწევდა ყოფილებთან შესახვედრად. ძალიან საეჭვო და სახიფათოა სააკაშვილის იმ კაცთან შეხვედრა, რომელიც მთელი თავის ცხოვრება ანტიქართულ კამპანიაზე მუშაობს კავკასიაში.

— **თუ გაქვთ ინფორმაცია, ამჟამად რას საქმიანობს იაგანოვი, რა ძალებთან ერთად მუშაობს და ხომ არ შეიცვალა დამოკიდებულებები საქართველოსთან მიმართებაში?**

– იაგანოვი და „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ყოფილი ლიდერები „კავკასიელ ხალხთა“ კონფედერაციის ინტერესების მიღმა არიან. ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან არც მეგობრობენ და არც კონტაქტობენ, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ლიდერები არ კონტაქტობენ მათთან. ამდენად, არ ვიცით ეს კაცი საიდან ამოქექეს და ვინ გაააქტიურა.

— **შეხვედრის დეტალები თქვენთვის ცნობილია?**

– ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია ადგილი, სად შეხვდა სააკაშვილი იაგანოვს, მაგრამ ერთი რამ გავარკვიეთ, სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები არა მხოლოდ ახლა, ერთი თვის წინათ დაჟინებით ითხოვდნენ და ეძებდნენ ჩრდილოკავკასიელ მორალურ ავტორიტეტებთან კონტაქტებს. თუ რა მიზნით, ამის გარკვევაზე ვმუშაობთ. მათ სურთ კონკრეტული შედეგი მიიღონ, სააკაშვილს უნდა ახალი დატვირთვა, ახალი ფუნქცია შეიძინოს, კავკასიისთვის მებრძოლის, თუმცა ეს ძალიან სარისკო თამაშია.



»» შორენა გოგოლაძე

599 22 75 27

## ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის 100 000 ლარი მოითხოვეს



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების კვებისთვის 100 000 ლარია მოთხოვნილი.

ზაზა გაბუნია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების კვებისთვის შვიდი მილიონი ლარია მოთხოვნილი.

„მე როგორც ამ ინიციატივის ავტორი დეპუტატი მინდა დავაზუსტო, რომ ლეიკემიით დაავადებული ბავშვების კვებისთვის ჩვენი ფრაქციის მიერ ბიუჯეტიდან ასი ათასი ლარია მოთხოვნილი, ხოლო შვიდი მილიონი ლარი მოთხოვნილია არა კვებისთვის, არამედ თვრამეტ წელს გადაცილებული ლეიკემიით დაავადებული ადამიანების მკურნალობისათვის (ტრანსპლანტაცია, სხივური თერაპია, ძვირადღირებული მედიკამენტები). მინდა ვთხოვო ყველა დაინტერესებულ პირს, რომ ინფორმაციის გავრცელებამდე გადამოწმებულ იქნას ფრაქციის პოზიცია, რომელიც ჩვენ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებებშია ფიქსირებული“, – აღნიშნა გაბუნიამ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რელიგიების დაფინანსების საკითხს სახელმწიფო სააგენტო დაადგენს




შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ უმცირესობების მიმართულებით, ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა.

„მართლმადიდებლურ ეკლესიას ემატება დამატებით კიდევ ოთხი რელიგიური გაერთიანება, ეს არის – იუდეველები, კათოლიკური ეკლესია, სომხური ეკლესია და ისლამური მიმართულება. ამ გადაწყვეტილებიდან ერთი კვირის შემდეგ უკვე ჩამოყალიბდა მთავრობის გადაწყვეტილება, შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა. ეს იქნება სახელმწიფო სააგენტო რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. სააგენტო იქნება პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში და ძალიან მაღალი ლეგიტიმაციის. საქართველოში არ იყო ამ ტიპის არანაირი სტრუქტურა და საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირი დავალებით ხდებოდა მოქმედება. თქვენ გახსოვთ, მე დამევალა პრემიერ-მინისტრისგან სამთაწყაროსა და ჭელას ეპიზოდში მუშაობა. ასე, პოსტფაქტუმ ზემოქმედება რომ არ ხდებოდეს, საჭიროა არსებობდეს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ამაზე რეგულარულად იმუშავებს. უამრავი საკითხია დაგროვილი რელიგიური გაერთიანებების მიმართ. აქ არის საკუთრების, განათლების, დაფინანსების საკითხები“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. მისივე თქმით, ამ მიმართულებებით სერიოზული ხელისშემშლელი იყო კოჰაბიტაცია და მისი დამთავრებისთანავე, მაშინვე დაიწყეს მოქმედება.

როგორც ზაქარეიშვილმა აღნიშნა, სააგენტოს თავმჯდომარე უნდა დანიშნოს პრემიერმა და შემდეგ ის ჩამოაყალიბებს მის შემადგენლობას. მისივე ინფორმაციით, სააგენტოს დებულება არსებობს, ასევე შემუშავებულია ფორმულა ფინანსთა სამინისტროში და გამოყოფილი 4,5 მილიონი ლარი პროპორციულად გადანაწილდება 4 რელიგიური მიმართულების შესაბამისად. „იქ გარკვეული პრინციპები იქნება, რომელსაც სააგენტო დაადგენს. პროცესი მიდის და მალე გარკვეულ შედეგებს მივიღებთ“, – დასძინა ზაქარეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ნუ შემაჩვიეთ ენა და შენიშვნების მოცემა“



18 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში შოთა უტიაშვილის დაკითხვისას ბრალდების მხარის პროკურორების შეკითხვებმა პროცესზე დამსწრე ვანო მერაბიშვილის გაბრაზება გამოიწვია. უტიაშვილის მიმართ პროკურორის მხრიდან დასმული შეკითხვისას, ვანო მერაბიშვილმა რეპლიკა გააკეთა, რის გამოც მოსამართლის შენიშვნა მიიღო.

„ნუ შემაჩვიეთ ენა და შენიშვნების მოცემა. თუ უნდათ, რომ უტიაშვილი შეცდომაში შეიყვანონ, არ ვიცი, წყნარად დაუსვან შეკითხვები“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

მან სასამართლოს მიმართა, რომ მის მიმართ მეტად კორექტული იყოს.

რაც შეეხება უტიაშვილის დაკითხვას, მან ისაუბრა 2011 წლის 26 მაისის აქციამდე განვითარებულ მოვლენებზე. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## გურჯაანში სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს სცემეს



გურჯაანის მუნიციპალიტეტში სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. სააგენტოს ცნობით, სპეციალისტმა, ჯიმშერ ოსიაშვილმა სურსათის სარეალიზაციო ობიექტში მონიტორინგის განხორციელებისას გამოავლინა ეტიკეტირების წესის დარღვევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით იწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

„ბიზნესოპერატორი არ დაეთანხმა დაჯარიმებას, თავს დაესხა სპეციალისტს, რომელიც უგონო მდგომარეობაში, ყბის ძვლის მოტეხილობით გადაიყვანეს საავადმყოფოში", – ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## ომბუდსმენმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა



საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წელს მეორე სარჩელით მიმართა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, სარჩელით სახალხო დამცველმა სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების – „ან კანონიერ მფლობელობაში" არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა – საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო აქტი განსაზღვრავს ქონების ჩამორთმევას მფლობელისთვის მესაკუთრის ქმედების მიუხედავად.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში განმარტავენ, კანონის აღნიშნული ჩანაწერი მესაკუთრეს არ უტოვებს სამართლებრივ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც, ის შეძლებდა საერთო სასამართლოებში თავისი კანონიერი ინტერესების დაცვას.

„ქონების მესაკუთრე, რომლის ქონებაც იქნა ჩამორთმეული, უფლებამოსილი არ არის, მიმართოს საერთო სასამართლოებს და მოითხოვოს მისი დარღვეული უფლების აღდგენა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 2 ივლისს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ სადავო აქტი შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს (საკუთრების უფლება). საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სარჩელი კი ეხება სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული რეგულირების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ნებისმიერი პირის ხელმისაწვდომობას", – ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტი არ შეიცავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ამკრძალავ პირდაპირ დებულებას, მთლიანი ინსტიტუტი (არამესაკუთრისთვის ქონების ჩამორთმევა) არაკონსტიტუციურია, რადგან მესაკუთრეს არ უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურული გარანტიებით – სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი საკუთრების უფლება. (ინტერპრესნიუსი)

## სასულიერო პირის მკვლელობის ბრალდებით ქართველი დააკავეს



სასულიერო პირის მკვლელობის ბრალდებით საბერძნეთში 24 წლის ქართველი დააკავეს. საბერძნეთში საქართველოს კონსულის გიორგი არჩემაშვილის განცხადებით, ქართველ მამაკაცთან ერთად, საბერძნეთის მოქალაქეც დააკავეს. მისი თქმით, შემთხვევა კალამათას რაიონში, მესინიაში მოხდა.

კონსული არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ მოკლული სასულიერო პირიც ქართველია. „გარდაცვლილი სასულიერო პირი არის საბერძნეთის მოქალაქე და არ არის საქართველოს მოქალაქე, მის ეთნიკურ წარმომავლობაზე კი ინფორმაციას არ ვფლობ. უშიშროების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დანაშაულში ეჭვმიტანილია 2 პირი, მათ შორის ერთი – 24 წლის საქართველოს მოქალაქე. ორივე მათგანი დაკავებულია და საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ", – აღნიშნა კონსულმა.

მისი თქმით, პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ სასულიერო პირს საკუთარ სახლში ჭრილობა თავის არეში მიაყენეს, შემდეგ კი გაგუდეს. „პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც მოკლეს სასულიერო პირი, სახლი გაჩხრიკეს, თუმცა არის თუ არა რაიმე წაღებული, ამ ეტაპისთვის უცნობია. ეჭვმიტანილები მასთან, სავარაუდოდ, ყაჩაღობის მიზნით იყვნენ მისული", – განაცხადა არჩემაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო. შსს-ს ცნობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლაშა გ, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ორჯერ ნასამართლევი ზვიად ქ, 1987 წელს დაბადებული არჩილ შ. და 1992 წელს დაბადებული ჯაბა ზ. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმ დროს დააკავეს, როცა ისინი ერთ-ერთი დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანით ქობულეთში, თავისუფლების ქუჩაზე გადაადგილდებოდნენ.

მათი პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ამოიღეს: 1 გლუვლულიანი გადაჭრილი თოფი, „ფ-1"-ის ტიპის 1 ხელყუმბარა, 1 ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 1 საფანტის პისტოლეტი. ასევე, ამოღებულია სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის 15 საბრძოლო ვაზნა. (ინტერპრესნიუსი)





# კულუარები

# ვინ წარადგენს „გრეჩიხას“ მერობის კანდიდატად?

## რას ეუბნება ლევან გაჩეჩილაძე „ალიას“ თავის გრანდიოზულ გეგმებზე?

ლევან გაჩეჩილაძის მიმართ ინტერესი არ ცხრება, არის მოლოდინი, რომ ის კენჭს თბილისის მერად იყრის. ამ ინფორმაციის ავტორები თუ დედუქციის მეთოდით მოქმედებენ, გასაკვირი არაა, რომ „გრეჩიხას“ არჩევნების ეპიცენტრში მოიაზრებენ, რადგან ყველას კარგად ახსოვს, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორ პირწმინდად მოუგო თბილისი მიხეილ სააკაშვილს.

თუმცა დღეს სხვა პოლიტიკური მოცემულობაა. ამის მიუხედავად, კონკრეტული ძალები მიანიშნებენ, რომ იქმნება ჯგუფი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძეს ადგილობრივ არჩევნებში მერობის ერთ-ერთ კანდიდატად ამზადებს. ამ ინფორმაციის ავტორი, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვალერი გელბახიანი ასევე აცხადებს, რომ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად ემზადება. გელბახიანი ამ ვარაუდს 2012 წლის არჩევნებამდეც გამოთქვამდა, რომ ინა გუდავაძე პოლიტიკურ პარტიას ჩაუდგებოდა სათავეში და მისი გარდაცვლილი მეუღლის, ბადრი პატარკაციშვილის გზის გამგრძელებელი იქნებოდა, ისტორიას კი მსგავსი მაგალითები ახსოვს და გელბახიანმა სონია განდის ცხოვრებასთან გაავლო პარალელი, როდესაც მისი მეუღლის რაჯივ განდის გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ სონია პოლიტიკაში შემოვიდა და პარტიას ჩაუდგა სათავეში. თუმცა მანამდე იტალიელი წარმოშობის ქალბატონი ისევე ცივ უარზე იდგა, როგორც დღეს ინა გუდავაძე აცხადებს, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის. თუმცა არასოდეს თქვა, არასოდეს! წელს ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 6 წელი შესრულდა. რას მოიმოქმედებს ბადრის ქვრივი, ჯერ კიდევ უცნობია. გელბახიანი აცხადებს, რომ გუდავაძის პოლიტიკაში ჩართვა გია ხუხაშვილის ინიციატივაა. გაჩეჩილაძის პიარს ტელეკომპანია „იმედი“ მოემსახურება, პატარკაციშვილის ოჯახს ბიძინა ივანიშვილთან დიდი ხანია მეგობრული ურთიერთობა აღარ აქვს.

ინფორმაციები საკმარისზე მეტია. ვიფიქროთ, ბადრის ქვრივს ახალი თავსატეხი გამოუჩნდა. უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდება, სად მარხია ძაღლის თავი?

„ალია“ ლევან გაჩეჩილაძეს დაუკავშირდა. ჩვენს შორის საუბარი მეორედ შედგა, გაჩეჩილაძემ საუბრის საიდუმლოდ დატოვება მთხოვა, მას ამ პირობას ვუსრულებ, ერთი გამონაკლისით, დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ლევან გაჩეჩილაძის პასუხს ვაქვეყნებ: „ალიას“ კითხვაზე, აპირებს თუ არა თბილისის მერის პოსტზე კენჭისყრას? გაჩეჩილაძის პასუხია: „არა, ეს გამორიცხულია, მე მაქვს სხვა გეგმები, რომელსაც მალე გაიგებთ, გპირდებით, რომ თქვენ იქნებით ის ჟურნალისტი, რომელსაც ექსკლუზიურ ინტერვიუს მივცემ!“ ალბათ, გაინტერესებთ, რამდენად გულწრფელი იყო ამ პასუხის დროს გაჩეჩილაძე? გეტყვით, რომ გაჩეჩილაძეს მნიშვნელოვან კითხვაზე ტყუილით არც ერთხელ არ უპასუხია. პირველი იყო „ალია“, სადაც მან დიდხნიანი პოლიტიკური პაუზის შემდეგ განაცხადა, რომ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა და ის, „გლადიატორთა პარტიას ქმნიდა“. დღესაც, პირველია „ალია“, სადაც გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მან სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლა დაასრულა და ახლა სხვა გრანდიოზული გეგმები აქვს, რაც პოლიტიკას არ უკავშირდება!

„ალია“, ასევე, ესაუბრა ლევან გაჩეჩილაძის მეგობარს, კინორეჟისორ **გოგა ხაინდრავას**. აი, რას უკავშირებს ის ამ აჟიოტაჟს და რას აცხადებს იგი:



**— თქვენ, ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად იყავით ლონდონში ბადრის ქვრივთან. ხომ არ ფიქრობთ, რომ ხმები გაჩეჩილაძის მერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით ლონდონში ვიზიტის ლოგიკური ბმაა?**

– ხმები ლევან გაჩეჩილაძის მერობასთან დაკავშირებით სრული შიზოფრენიაა, რომელიც ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ წრეს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არც მე და არც ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკაში დაბრუნებას არ ვაპირებთ. ჩვენ მართლაც ვიყავით ლონდონში პატარკაციშვილის ოჯახთან, მაგრამ საქმე ეხება იმ დავას, რომელიც მიმდინარეობს ჩხარტიშვილსა და პატარკაციშვილებს ოჯახს შორის. ასობით მილიონ დოლარზეა ლაპარაკი. თქვენ იცით, რომ ლევან გაჩეჩილაძეს ბადრის ოჯახმა შესთავაზა, მათი წარმომადგენელი ყოფილიყო, მე ვანო ჩხარტიშვილმა შემომთავაზა, რომ ამ საქმეში ჩავრთულიყავით და მხარეებს შორის კონსენსუსი მოგვეძებნა, რაც, სამწუხაროდ, არ ხერხდება, საქმე სასამართლოშია. აქ უკვე კერძო ინიციატივები მთავრდება, ამიტომ დაველოდოთ სიტუაციას და თუ ამ პერიოდში საჭიროება მოითხოვს, ჩვენს პოზიციას აუცილებლად დავაფიქსირებთ. რაც შეეხება პოლიტიკაში ჩართვას, ესაა სრული სიცრუე. ლევან ვასაძის სახელმაც გაიელვა თბილისის მერის კანდიდატად, ესეც სიცრუეა. ასეთი ინფორმაციები მეტყველებს იმაზე, რომ ინფორმაციების გამავრცელებლები ტყემალზე სხედან. ლევან ვასაძესთან ახლოს ვარ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ მსგავსი იდეები არც მას არ აქვს, ესაა სრული ბოდვა. თუ გაინტერესებთ, იმასაც გეტყვით, რას აპირებს ლევან გაჩეჩილაძე. ის არის წარმატებული ბიზნესმენი, სამწუხაროდ, სააკაშვილის ფაშისტურმა რეჟიმმა მთლიანად დაანგრია მისი ბიზნესი. დღეს ის დაუბრუნდა თავის პირვანდელ საქმიანობას, რომელიც ძალიან კარგად იცის. რაც დაკავშირებულია არჩევნებთან, არც კი გაელვებულა მის სამოქმედო გეგმებში, მსგავსი რამ.



**— არც ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი აპირებს პოლიტიკაში ჩართვას?**

– რამდენიმე დღის წინ ამ საკითხზე საუბარი მქონდა ინა გუდავაძესთან, ის პოლიტიკაში მონაწილეობას არ აპირებს. ესაა ბადრის ქვრივის წინააღმდეგ ბინძური კამპანია, ძალიან ბევრი მაროდიორია საქართველოში, რომელიც ვერაფრით ვერ ეშვება ბადრის ქონებას. ისინი ცდილობენ, სხვადასხვა გზებით ბადრის ოჯახის დისკრედიტება მოახდინონ. ინა გუდავაძე ძალიან შეწუხებულია, ასეთი ჭორები რომ ვრცელდება. ინას ინფორმაციაზე დაყრდნობით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მას არც აქვს საერთო პოლიტიკასთან და არც ექნება.

»» ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „სამარშრუტო ტაქსებზე მონოპოლია უნდა დასრულდეს“

„თავისუფალი საქართველო“ სამარშრუტო ხაზების მძღოლების სამართლიან მოთხოვნებს მხარს უჭერს. როგორც პარტიის გენერალური მდივანი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მონოპოლიზებული ეს ბიზნესი კერძო სექტორს უნდა დაუბრუნდეს.

„დღეს, დილიდან გაფიცულები არიან №140 და №149 სამარშრუტო ხაზების მძღოლები, რომლებიც ყოველდღიური, ისედაც მაღალი 55-ლარიანი გადასახადის 10 ლარით გაზრდას აპროტესტებენ. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ თბილისში სამარშრუტო ხაზების მონოპოლისტი მხოლოდ ერთი კომპანია არსებობს და არანაირი კონკურენტული, თავისუფალი, საბაზრო გარემო არ არსებობს.

„თავისუფალი საქართველო“ მხარს უჭერს სამარშრუტო ხაზების მძღოლების სამართლიან მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ 2011 წელს, „ნაციონალური მოძრაობის“, გიგი უგულავას მიერ უკანონოდ მონოპოლიზებული ეს ბიზნესი უნდა დაუბრუნდეს კერძო სექტორს, რის შედეგადაც თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემო აღდგება“, – აცხადებს შალამბერიძე.

მისი თქმით, ამ გზით შესაძლებელი გახდება ასობით ადამიანის კერძო ბიზნესში ჩართვა, დაქირავებულებისთვის გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი, შრომის ღირსეული ანაზღაურებითა და პირობებით.

„რაც ყველაზე მთავარია, არაკომფორტული მგზავრობის ნაცვლად ასი ათასობით მგზავრი გადაადგილების იაფ და კომფორტულ საშუალებას მიიღებს“, – აღნიშნა შალამბერიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## 13 000-ზე მეტი პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცა

უფასო პირადობის მოწმობების გაცემის თაობაზე გამოცხადებული აქციით 13 000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებსა და იუსტიციის სახლებში, 17-დან 22 წლამდე მოქალაქეებისთვის უფასო პირადობის მოწმობების გაცემა 24 იანვრიდან დაიწყო. ამ დროისთვის აქციით 13 237-მა მოქალაქემ ისარგებლა. აქცია 24 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაში მოხვედრილ მოქალაქეებს, რომლებსაც პირადობის ახალი მოწმობა ჯერ არ აუღიათ საშუალებას მისცემთ დოკუმენტი სრულიად უფასოდ მიიღონ.

ამავე პერიოდში, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, პირადობის ახალი მოწმობის უფასოდ მიღების საშუალება პირობით მსჯავრდადებულებს (პრობაციონერებსაც) აქვთ. ყველა მათგანი თავისუფლდება, როგორც დოკუმენტის, ისე ფოტოსურათის გადაღების ღირებულებისგან. ამ დროისთვის აქციით 278-მა პრობაციონერმა ისარგებლა.

დღეის მდგომარეობით, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, უფასო პირადობის მოწმობების გაცემა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვისაც მიმდინარეობს. აქცია 15 თებერვალს დაიწყო და 15 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. ამ დროისთვის აქციით 1056-მა ვეტერანმა ისარგებლა.

ყველა ვეტერანს, გარდაცვლილი ვეტერანების მეუღლეებსა და შრომისუუნარო, ოჯახის სრულწლოვან წევრებს, რომლებსაც პირადობის ახალი მოწმობა ჯერ არ აუღიათ, აქცია საშუალებას აძლევს, დოკუმენტი სრულიად უფასოდ მიიღონ. აქციის ფარგლებში ყველა მათგანი თავისუფლდება როგორც დოკუმენტის, ისე ფოტოსურათის გადაღების ღირებულებისგან. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

**„ალიას“ ესაუბრება ყოფილი სამხედრო ექიმი გიორგი ლილუაშვილი:**

– 2001 წლის 14 სექტემბრიდან ვმსახურობდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №06325 სამხედრო ნაწილში – ექიმის თანამდებობაზე. ინგლისური ენის შემსწავლელი გაძლიერებული ორთვიანი კურსები გავიარე და სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამაგზავნეს. როგორც შემდგომში გაირკვა, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სასწავლო მივლინებაში მყოფი დამითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. ეს ბრძანება გავასაჩივრე. ამის შემდეგ, მივმართე სააღსრულებო ბიუროს, რათა სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მომხდარიყო თავდაცვის მინისტრის 2004 წლის №1/810 ბრძანების გაბათილება და ჩემი აღდგენა თავდაცვის სამინისტროს კადრების განკარგულებაში. თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა გელა ქომეთიანმა 2006 წლის 3 აპრილს წერილით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, კანონის შესაბამისად, 5 დღის ვადაში ნებაყოფლობით აღესრულებინათ სასამართლოს გადაწყვეტილება, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. განმეორებით რომ მიმართა სამინისტრომ წერილით, უპასუხა და თავდაცვის მინისტრის ბრძანება №868 გამოაგზავნა, სადაც იუწყებოდნენ, რომ მათ ნაწილობრივი ცვლილება შეიტანეს მინისტრის ბრძანებაში და აღდგენის გარეშე ორი წლით უკანა რიცხვით კვლავ დამითხოვეს. ანუ მათ შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილად ჩამთვალეს შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. სამინისტრომ ზეწოლა განახორციელა აღმასრულებელზე და სააღსრულებო ბიურომაც მომწერა, რომ ამ ბრძანებით აღსრულდა სასამართლოს გადაწყვეტილება.

მივმართე ზემდგომ სტრუქტურებს, საკანონმდებლოსაც, მივმართე სასამართლოსაც, თუმცა სასამართლომ ჩემი სარჩელი არ დააკმაყოფილა და გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება. ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, კვლავ ვცადე სამართლის მოძიება, მივმართე თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას, იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ახალ პრემიერს, ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, თუმცა უშედეგოდ. თავდაცვის მინისტრის ბრძანება არის უკანონო აქტი და ნიმუში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ მისი უფლებამოსილების გადამეტების. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ადგილი აქვს დანაშაულთა ერთობლიობას თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან.




# ირაკლი ალასანიას პროკურატურაში უჩივიან

**— კერძოდ, რაში სდებთ ბრალს ალასანიას?**

– სამინისტრომ არ აღასრულა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს დანაშაულს. ასევე, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თავისი უკანონო ბრძანებით გადაამეტა უფლებამოსილებას, ცვლილება შეიტანა სასამართლოს მიერ ბათილ აქტში, რამაც ჩემი და 520 ოფიცრის უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა იმაში, რომ მე და 520 ოფიცერს უარი გვეთქვა კადრების განკარგულებაში აღდგენაზე, რითაც შეგვიწყდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შრომის უწყვეტი სტაჟი და ვერ მივიღეთ პირველი ორი თვის ანაზღაურება.

მიუხედავად აღნიშნულ დანაშაულზე არაერთი განცხადებისა, ზემდგომმა და ვალდებულმა თანამდებობის პირებმა რეაგირება არ მოახდინეს და ისინი შეეცადნენ, დაემალათ და გაემართლებინათ დანაშაულის ჩამდენი პირები. რითაც შექმნეს სსკ-ის 23, 307, 312, 316, 341, 342 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.




ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი წერილით მივმართე პროკურატურას. ვშუამდგომლობ მთავარი პროკურორის წინაშე, დაუყოვნებლივ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, დაიწყოს გამოძიება და პასუხისგებაში იქნენ მიცემული დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირები. ასევე, გამოძიების პერიოდში იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ, მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები და არ შეასრულეს თავიანთი ფუნქციური მოვალეობები, მათ შორის თანამდებობის პირებს, თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას, იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, შეუჩერდეთ უფლებამოსილება და გადაყენებულ იქნან დაკავებული თანამდებობიდან, რათა მათ არ მოახდინოს ზეგავლენა გამოძიების მსვლელობაზე.

**— თქვენი საქმე, როგორც ამბობთ, სხვებსაც ეხებათ, რას გულისხმობთ?**

– ეს 521 ოფიცერს ეხება. არაფერს ვამბობ უფლებამოსილების გადამეტებაზე, რის გამოც მე ვუჩივლე ალასანიას. ასევე, ვუჩივი ადამიანებს, ვინც ამ საქმეში მთავარი როლი შეასრულეს. ეს ადამიანები იყვნენ ვახტანგ კაპანაძე, რომელიც გენერალური შტაბის უფროსი იყო მაშინ და გია ჯაჭვაძე, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა გასათავისუფლებელი ოფიცრების სიების გაკეთება. დღეს გია ჯაჭვაძეს კადრების დეპარტამენტი აბარია. 521 ოფიცრიდან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს რამდენიმე პოლკოვნიკი პრეზიდენტის გვერდის ავლითაც კი დანიშნეს.

**— რამდენიმე პოლკოვნიკი პრეზიდენტის გვერდის ავლითაც კი დანიშნესო, რას გულისხმობთ, რა სახის დარღვევაა ამ ნაწილში?**

– იუსტიციის სამინისტროს, ანუ თეა წულუკიანს რომ მივმართე, ასე მომწერეს, ბათილად ცნობილ აქტში ცვლილება რომ შევიტანეთ, ამით აღვასრულეთ სასამართლოს გადაწყვეტილებაო.

**— მარგველაშვილს რას ერჩით?**

– მარგველაშვილი მთავარსარდალია და რომ მივწერე, რეაგირება უნდა მოეხდინა. დანაშაულს ხელს აფარებს და რეაგირებასა და გამოძიებას არ ითხოვს, ესე იგი, თვითონაც თანამონაწილეა და ის, რომ წინა ხელისუფლებამ დააშავა, ახალს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. 3 000 ოფიცერზე მეტი გაყარეს ადრე ამ მამაძაღლებმა ჯარებიდან და ახლა ისევ იგივეს აკეთებენ.

**კომენტარისთვის „ალია“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, თემურ დოლიძეს დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ „საქმე გადაგზავნილია თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში“.**

**„ალია“ მთელი დღის მანძილზე ცდილობდა თავდაცვის სამინისტროში ინფორმაციის გადამოწმებას, ვუკავშირდებოდით პრესსამსახურის უფროსს ლევან ჯორბენაძეს, პრესსამსახურის წარმომადგენელს, ხათუნა ლეჟავას, ასევე, ვრეკავდით მინისტრის მოადგილესთან, ვაკო ავალიანთან, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არც „მესიჯებს“ და არც ჩვენს ზარებს არ უპასუხა.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასამართლოში ირაკლი ფირცხალავა და ბაჩო დოლიძე დაიკითხნენ




საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმეზე დაცვის მხარის მოწმემ, აფხაზეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ირაკლი ფირცხალავამ განაცხადა, რომ აქციაზე პოლიციელები აგრესიულად იქცეოდნენ, თუმცა ეს გია ლორთქიფანიძის დავალება არ იყო. პოლიციელების აგრესია გამოწვეული იყო ნინო ბურჯანაძის ესკორტის მიერ პოლიციელის გარდაცვალებით. ფირცხალავას ინფორმაციით, დავალება არსებობდა, რომ დაეკავებინათ მხოლოდ და მხოლოდ აგრესიული მოწმეები, რომლებიც მიტინგის ტერიტორიაზე არეულობის მოწყობას ცდილობდნენ. რაც შეეხება ბურჯანაძის ექსპორტის მიერ ტერიტორიის დატოვების მონაკვეთს, ირაკლი ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ამ პერიოდში ის იმყოფებოდა ტერიტორიაზე და საკუთარი თვალით ნახა, როგორ გაიტანა ესკორტმა რამდენიმე პოლიციელი.

მისი თქმით, მას ეგონა, რომ დაახლოებით 5 გარდაცვლილი იქნებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი პოლიციელი გარდაიცვალა. ფირცხალავას თქმით, ამ დროს ტერიტორიაზე იმყოფებოდა „სახალხო“ კრების მაშინდელი წარმომადგენელი და პარლამენტის ამჟამად მოქმედი წევრი სოსო ჯაჭვლიანი, რომელიც ამბობდა, რომ, თუკი ვინმე გარდაიცვლებოდა, მისი ფეხი აღარ იქნებოდა ბურჯანაძის გვერდით. ფირცხალავას თქმით, როდესაც შევიდა რუსთაველის თეატრში, ნახა რომ მის ჯგუფელს პოლიციელები ეკამათებოდნენ და სიტუაციაში გასარკვევად მივიდა. მისი ჯგუფელი იყო უსაფრთხოების უფროსი, თუმცა იმ მომენტში ფორმა არ ეცვა და პოლიციელებს, სავარაუდოდ, მომიტინგე ეგონათ, ამიტომ გამოხატავდნენ აგრესიას მის მიმართ. მოწმემ აღნიშნა, რომ ამის გამო პოლიციელებთან დაპირისპირება მოუვიდა.

პროცესზე დაიკითხა თბილისის მერიის ყოფილი პრესსპიკერი ბაჩო დოლიძე, რომელიც ასევე დაცვის მხარის მოწმეა. დოლიძემ განაცხადა, რომ მიტინგის დაშლამდე მან რამდენჯერმე მოუწოდა მომიტინგეებს, რუსთაველის ტერიტორია დაეტოვებინათ დაგეგმილ ალლუმთან დაკავშირებით და შესთავაზა ალტერნატიული ადგილები, სადაც აქციის გამართვას მოახდენდნენ.

„როდესაც ახლოვდებოდა 26 მაისი, დაახლოებით 23:30 საათზე, ღამით მივედი მომიტინგეებთან და მათ ორგანიზატორებთან. პირადად მქონდა საუბარი ნინო ბურჯანაძესთან, ნონა გაფრინდაშვილთან და ირაკლი ბათიაშვილთან და მათ შევახსენე განცხადებაში თითოეული დრო, ასევე ალტერნატიული ადგილები, სადაც მიტინგის გამართვა შეეძლოთ“, – განაცხადა დოლიძემ. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

## რატომ არ იჭერს ლევან ვარშალომიძეს „ოცნების“ ხელისუფლება?

### რა განიხილეს ღარიბაშვილმა და აჭარის დეპუტაციამ დახურულ შეხვედრაზე

17 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებთან, ბათუმის საკრებულოს წარმომადგენლებთან და აჭარის მაჟორიტარ დეპუტატებთან გაფართოებული შეხვედრა გამართა. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის აქტუალური თემები, მიმდინარე რეფორმები და სამომავლო გეგმები განიხილეს. საუბარი, ასევე, შეეხო თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ერთია ოფიციალური ინფორმაცია და მეორეა – არაოფიციალური, ანუ კულუარული, რომლის თანახმადაც, შეხვედრაზე საუბარი არ ყოფილა მხოლოდ რეფორმებსა და ადგილობრივ არჩევნებზე. ინკოგნიტო წყაროს მტკიცებით, საუბარი იყო აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, არჩილ ხაბაძის განთავისუფლება-არგანთავისუფლების შესახებ და მისი სავარაუდო შემცვლელებიც დასახელდნენ – ერთ-ერთი მათგანი გახლავთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი, არმაზ ახვლედიანი (პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკური სწავლების სკოლის დამფუძნებელი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი – 1995-1999 წლებში „მოქკავშირიდან“, ხოლო 1999-2004 წლებში „აღორძინებიდან“). მართალია, თავად არმაზ ახვლედიანი ამ ინფორმაციას „ალიასთან“ არ ადასტურებს, მაგრამ, ინკოგნიტო წყაროს მტკიცებით, ირაკლი ღარიბაშვილთან ამ თემაზე საუბარი ნამდვილად იყო. თუმცა პრემიერ-მინისტრი ამ ეტაპზე მაინც არ ჩქარობს და ჯერჯერობით ცდილობს, აჭარის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა და მთავრობის მეთაური შეარიგოს. ამ შემთხვევაში საუბარია ავთანდილ ბერიძესა და არჩილ ხაბაძეზე. გამოდის, თუ ესენი ვერ მორიგდებიან და ისევ გააგრძელებენ კინკლაობას, მაშინ ადგილობრივი არჩევნების ჩატარებამდე დატოვებენ თანამდებობებს. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეში ირაკლი ღარიბაშვილის ჩარევა დროული და საჭირო იყო, მან ბოლო ორი კვირის განმავლობაში აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები ორჯერ ჩამოიყვანა თბილისში.



რაღა დაგიმალოთ და აჭარაში დიდი ზეიმია ვალერიან თელიას განთავისუფლებასთან დაკავშირებით. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ამბის ისე ჩატარება არ შეიძლება და როგორც კი ოფიციალურად დადასტურდება, მას გრანდიოზულ „გაცილებას“ მოუწყობენ აქციის სახით. სხვათა შორის, ახლა ირკვევა, რომ თელიას გამწესება აჭარაში სულაც არ ყოფილა მაშინდელი შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, თავის დროზე არჩილ ხაბაძეს უთქვამს: მე აჭარაში თითქმის არავის ვიცნობ, მით უმეტეს, ძალოვნებში და გთხოვ, სასწრაფოდ თბილისიდან ვინმე გამომიგზავნეო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ ხაბაძეს თავად ჰქონდა არჩევანის საშუალებაც და თავისუფლებაც, მაგრამ ინიციატივა ვერ გამოიჩინა. სხვათა შორის, ის თავის ახლო მეგობრებთან აღიარებს კიდეც, რომ არ უყვარს ინიციატივების გამოჩენა და ძალიან ფრთხილი ადამიანია. კი, ბატონო, შეიძლება თანამდებობის კაცი მართლაც ფრთხილი უნდა იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი უნიათობაში არ უნდა გადაიზარდოს.

როგორც იცით, 17 თებერვალს პროკურატურაში აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარეც დაიბარეს. ესეც ძალიან გაუხარდათ აჭარლებს, იფიქრეს, საქმე დაიძრა, პროკურატურაში ვიღაც ამოძრავდა, ვარშალომიძეს 1 ლარად გასხვისებული უამრავი ქონების გამო პასუხს მოსთხოვენო. თუმცა, ჯერჯერობით დაკითხვაზე მხოლოდ იმ რესტორნის გამო დაიბარეს, სადაც ადრე აბანო იყო. არადა, კულუარებში იმაზეც ლაპარაკობენ, ამ საქმეების გამოძიება მალე ჩიხში შევა, რადგან ქონების დატაცებაში საკმაოდ წონიანი ფიგურები არიან გარეულებიო. ლევან ვარშალომიძე დადის და იძახის: მე ბედნიერი ვარ, რომ აჭარა ავაშენე, გავალამაზე და ევროპულ რეგიონს დავამსგავსე, თუ ამის გამო დამიჭერთ, კი ბატონოო! ბათუმის ყოფილი მერი, რობერტ ჩხაიძე ამბობს, ბათუმში მიწები კიდევ იყიდება, მაგალითად, ახლა 30 პროცენტით იაფად არჩილ ხაბაძესთან დაახლოებულმა პირებმა იყიდესო. მართალია, რობერტ ჩხაიძე წლების განმავლობაში ვარშალომიძეების „პადელნიკი“ იყო და ყველა დანაშაულში მონაწილეობდა, მაგრამ თუ ასეა, მაშინ გამოძიებამ ამ ფაქტსაც უნდა მიაქციოს ყურადღება – ჩხაიძის დანაშაული არჩილ ხაბაძეს არ ამართლებს.

როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ვარშალომიძის მიერ გაფუჭებული საქმეების გამოძიება ბოლოდან არ უნდა დაეწყოთ, საჭიროა ყველა მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესწავლა. ჯერ ერთი, აჭარაში ყველაფერი ხელახლაა გასაკეთებელი, მაგრამ რაც გაკეთდა, იქაც ძალიან დიდი თანხებია დატაცებული. გასარკვევია ისიც, რა ტერიტორიები და შენობები გადასცა ვარშალომიძემ თურქებს საჩუქრად. ეს უკვე სასაცილოა, როდის იყო, გურამ და ლევან ვარშალომიძეები ვინმეს რამეს ჩუქნიდნენ? დიდი ხანია ამბობენ, რომ აქ ძალიან დიდი ფული ტრიალებდა და როგორც ვხედავთ, „გალლეტილი“ ბიჭი ამით ამაყობს. სქემა ნაცნობია: ტენდერებში იმარჯვებდნენ ვარშალომიძესთან დაახლოებული პირები. მის გარეშე ერთ სართულსაც ვერავინ ააშენებდა აჭარაში. კანონებში სპეციალურ რეგულაციებსაც კი იღებდნენ იმისათვის, ახლობლებსა და ფულით შეიარაღებულ ნაცნობებს მწვანე შუქი რომ ანთებოდათ.

ვინ გამოიძიებს ვარშალომიძეების საეჭვო გარიგებების 9-წლიან ციკლს? როგორც ინკოგნიტო წყარო ამტკიცებს, დღეს აჭარის პროკურატურაში ისევ „ნაციონალები“ ბოგინობენ. თუ ცენტრალურ ხელისუფლებაში არ მოიფიქრეს რამე, არ არის გამორიცხული, ვარშალომიძე სუფთაზე გამოვიდეს და არა მხოლოდ ვარშალომიძე. სხვათა შორის, ჩვენ არ დაგვავიწყდეს (ფაქტები არსებობს), „ნაციონალებს“ სარფის საბაჟოს არაერთი თანამშრომელი ჰყავდათ დაპატიმრებული 5 დოლარი ქრთამის აღებაზე და ამასაც ხშირად თვითონვე „უჩალიჩებდნენ“, რათა მერე 15 ათასი ლარი „აეხიათ“ საპროცესო გარიგებით. დასკვნა თავად გააკეთეთ, არიან კი ესენი პოლიტიკური ფიგურები და მიდის მათი შევიწროება ამ ნიშნით?

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### უმუშევრობა ყველაზე დიდი პრობლემაა



ეკონომიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობა განსაკუთრებულ ფოკუსირებას იმ სფეროებზე გეგმავს, სადაც მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლება.

„გავაკეთეთ პრეზენტაცია, როგორ უნდა მოხდეს იმ უპირატესობების იდენტიფიცირება, რაც შეიძლება ადგილობრივ წარმოებას ჰქონდეს. როგორ უნდა მოხდეს მთავრობის ძალისხმევის ფოკუსირება, რათა კონკრეტული მიმართულებებისთვის გაწეულ იქნას დახმარება როგორც ახალი ტექნოლოგიების მიწოდების, ისე ფინანსური კუთხით. მსოფლიო ბანკი ამ პროექტით დაინტერესდა. ჩვენ ვქმნით მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, ასევე გვექნება ახალი ტექნოლოგიების სააგენტო. მეწარმეობის განვითარების სააგენტოში 22 მილიონი ლარი, ხოლო ახალი ტექნოლოგიების სააგენტოში 6,5 მილიონი ლარი დაიხარჯება“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელი იქნება განსაკუთრებით იმ გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველო ხელს აწერს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, რათა ქართული ბიზნესი ევროკავშირის ბაზარზე შესვლას მომზადებული დახვდეს.

„რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, განსაკუთრებული ფოკუსირება მოხდება იმ მიმართულებებზე, სადაც მეტი ადამიანის დასაქმება შეიძლება, რათა ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის ყველა ფენაზე იყოს გადანაწილებული. ეს იყო პრობლემა წარსულში და ვფიქრობთ, ესაა ყველაზე დიდი პრობლემა, რომელთან გამკლავებაც ჩვენ მოგვიწევს“, – განაცხადა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საქართველოს ეკონომიკაში სირთულეები რჩება

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკაში რჩება მთელი რიგი სირთულეები და გამოწვევები.

„ჩვენ არ ვაპირებთ ტყუილის თქმას და გვსურს, ღიად ვუთხრათ მოსახლეობას, რა სფეროებში გვაქვს სირთულეები. მსოფლიო ბანკის შეფასების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით საქართველო ჯერ კიდევ ძალიან მძიმე მდგომარეობაში რჩება. საუბარი იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაორმაგდა, გახდა მოწინავე რეგიონში, აბსოლუტურად გადამეტებული და ტყუილია“, – განაცხადა პრემიერმა. ღარიბაშვილი ოპონენტებს მოუწოდებს, დაასრულონ მოსახლეობისთვის ამგვარი ტყუილების თქმა, ვინაიდან ეკონომიკა არ გაორმაგებულა და მოხდა ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გადასვლა.

„მათ მოაწესრიგეს ფინანსები და მაგალითისთვის გეტყვით – ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით საქართველო 2004 წელს იყო 116-ე, ხოლო 2012 წელს – 115-ე ადგილზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივად შეიძლება შეფასდეს, როგორი ზრდა გვქონდა რეგიონში. საქართველო და სომხეთი ერთ ადგილზე იმყოფებიან და არავითარი წინსვლა, განვითარება და ეკონომიკური გაორმაგება ქვეყანაში არ ყოფილა. ეს იყო დროებითი ინექციები, სტიმულატორებით გაზრდილი მაჩვენებლები და სპეკულირება მშპ-ს მაჩვენებლებით და სწორედ ამ სირთულეების იდენტიფიცირება მოვახდინეთ“, – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის შეფასებით, საუბარია მთელ რიგ გამოწვევებზე, მათ შორის, სიღარიბის მხრივ საქართველო ჯერ ისევ ერთ-ერთ ყველაზე რთულ ქვეყნად რჩება.

„სიღარიბის კუთხით ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ადგილზე რჩება. ეს არის მსოფლიო ბანკის შეფასებები. ბოლო 10 წლის განმავლობაში „მიღწეული“ შედეგების გათვალისწინებით. ამიტომ ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი ვალდებულება არის ის, საქართველოს მოსახლეობას ვუთხრათ სიმართლე და ვესაუბროთ იმ გამოწვევებისა თუ სირთულეების შესახებ, რომელიც ჩვენს წინაშე დგას. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვები და გეგმები ამ სირთულეების გადასაჭრელად და რაც მთავარია, მთელი ის სარგებელი, რასაც ეს საქმიანობა მოიტანს, უნდა გადანაწილდეს თითოეულ ოჯახზე, მოქალაქეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ იმის თქმას, რომ ვაწარმოეთ წარმატებული, სწორი და ეფექტიანი პოლიტიკა“, – განაცხადა პრემიერმა. (ინტერპრესნიუსი)

### არასაპარლამენტო პარტიებმა შესაძლოა, კოალიცია შექმნან



ნინო ბურჯანაძის პარტიამ და სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შესაძლოა, კოალიცია შექმნან. მისი თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიციის საერთო კანდიდატით მონაწილეობის შესახებ მსჯელობა მიმდინარეობს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება პარტიის ყრილობაზე გახდება ცნობილი.

„ყველა გადაწყვეტილებას თქვენ მოისმენთ პარტიის ყრილობაზე, რომელიც ძალიან მოკლე ხანში ჩატარდება. ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. მსჯელობა მიდის როგორც კოალიციით გასვლაზე, ასევე დამოუკიდებლად გასვლაზე თვითმმართველობის არჩევნებში. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია ნებისმიერი არჩევნების წინ. ჯერჯერობით, საბოლოო განცხადებების გაკეთება ნამდვილად ნაადრევია“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისივე განცხადებით, ერთადერთი, რაზეც შეიძლება უკვე თითქმის საბოლოო განცხადების გაკეთება, არის ის, რომ, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ არაფერს შეცვლის და არჩევნები ნამდვილად არ ჩატარდება თავისუფალ და თანასწორ გარემოში. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# 30 მილიონი ჩინელი გამოქვაბულებში ცხოვრობსო



ვერც დიმპიტაურა პარაფირება უშველის ჩინეთს და ვერც ნატო-ევროკავშირში გაწევრიანება – მიწა უნდათ იქაურებს, საცხოვრებელი რომ მოიზომონ, მაგრამ სად არის... სად არის და მაგალითად, ვაზისუბანში, ჩემო ბატონო! რა, გამოქვაბულებსა და ჯურღმულებს აღარ სჯობია?!.

როცა ჩინეთსა და ჩინელებზეა საუბარი, ალბათ, უმრავლესობას მჭიდროდ დასახლებული პეკინი და ჰონგკონგი წარმოუდგება ხოლმე თვალწინ, თუმცა იქაურების ნაწილი მეგაპოლისებში როდი ცხოვრობს. თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყნის ზოგიერთ შორეულ რაიონში ხალხი საცხოვრებლად გამოქვაბულებს იყენებს, თანაც, სულაც არ არის საუბარი ერთეულ შემთხვევებზე:



სხვადასხვა მონაცემით, 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ქვეყანაში დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი სწორედ გამოქვაბულებში ცხოვრობს.

როგორც ამბობენ, ჩინეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლაც ქალაქებშია დასახლებული, მაგრამ სიღარიბე და საცხოვრებლის ნაკლებობა ხალხს აიძულებს, ბინა, ფაქტობრივად, სოროებში დაიდოს.

მაგალითად, შენსის პროვინციაში „გამოქვაბულების ადამიანების" მთელი დასახლება არსებობს – იქაური მიწის ნიადაგი მშენებლებს საშუალებას აძლევს, იოლად და განსაკუთრებული ხარჯების გარეშე, სახლები პირდაპირ მთა-გორიან ადგილებში განათავსონ.

ცნობილია, რომ ასეთი სახლის ქირაობა თვეში 30 აშშ დოლარად შეიძლება, შეძენა კი 46 ათას აშშ დოლარამდე ჯდება, რაც ნებისმიერ სხვა უძრავ ქონებაზე ბევრად ხელსაყრელია.

მართალია, ასეთი საცხოვრებელი პირობები ბევრს უკვირს, მაგრამ ერთი ძალიან დიდი პლუსი მაინც აქვს – ჩინეთში, ქვეყანაში, სადაც მეგაპოლისების ჰაერი განსაკუთრებით დაბინძურებულია, დიდ ქალაქებს მოშორებული ასეთი დასახლებები ჯანმრთელობის პრობლემებს მაინც არ ამძიმებს. გარდა ამისა, ბევრად საიმედოა იმ მხრივაც, რომ სახლი გამოქვაბულში არც მიწისძვრის დროსაა საშიში.

სურვილის შემთხვევაში, გამოქვაბულში შესაძლებელია ელექტრობის, ინტერნეტის შეყვანა, წყალმომარაგებითა და გათბობით უზრუნველყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლი გამოქვაბულში კიდევ დიდხანს დარჩება გადავსებული და დაბინძურებული მეგაპოლისების შესანიშნავ ალტერნატივად...

*factroom.ru*

# კერძი ბევრად გემრიელია, როცა მას ვინმე თქვენთვის ამზადებს



როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, გემოს აღქმაზე ყველაზე დიდ გავლენას ყნოსვა ახდენს.

როცა რომელიმე კერძს ვამზადებთ, პროცესში ცხვირი სუნს ეჩვევა. ამდენად, როცა საჭმელს საკუთარი თავისთვის ამზადებთ, შემდეგ კი მიირთმევთ, ეს საკვების დეგუსტაციას ჩამოჰგავს, როცა ყნოსვა პრაქტიკულად, თამაშგარეა დარჩენილი.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა ვინმე კერძს თქვენთვის ამზადებს, ხოლო თქვენ ამ დროს სხვა ოთახში ხართ, ბუნებრივია, სუნს იმდენად მძაფრად ან საერთოდ ვერ იგრძნობთ და საჭმელიც ბევრად უფრო გემრიელი მოგეჩვენებათ.

თუ კერძის მომზადებისას სუნს ვერ გრძნობთ, გაქვთ საშუალება, ერთდროულად დატკბეთ მისი როგორც გემოთი, ისე ახალი სუნით. ამდენად, საჭმელს მართლაც უფრო გემრიელად აღიქვამთ.

იგივე პრინციპი მუშაობს წინა დღით მომზადებულ კერძთან მიმართებაში.

შესაძლოა, ოდესმე მოგიკრავთ ყური მოსაზრებისთვის, რომ კერძი მეორე დღისთვის ბევრად უფრო გემრიელია, რაც, პრინციპში, მართალია. ასე ხდება იმიტომ, რომ ჩვეულებრივ, შეუჭმელი კერძი მაცივარში ინახება და სუნს ველარ გრძნობთ. მეორე დღეს კი, იმის გამო, რომ სუნი უკვე დავიწყებულია, კერძი ბევრად გემრიელი ჩანს.

*mainfun.ru*

# მეცნიერები სწავლობენ, რატომ ხვდება შარდის წვეთები უნიტაზის რგოლზე?

აბა, ამ საკითხს თუ არ მოეფინა მზის სინათლე და არ გაირკვა, რატომ აფსამენ ზოგ-ზოგიერთები უნიტაზს ზემოდან, რაა მამული?!.

როგორც ირკვევა, სითხეების ფიზიკის კვლევაზე ბრიგამ იანგის უნივერსიტეტის ორი სპეციალისტი – ტოდ ტრასკოტი და რენდი ჰიორდი მუშაობენ. ამჯერად ისინი მაღალსიჩქარიანი კამერების გამოყენებით ცდილობენ, დაადგინონ, რა მოსდის შარდის ნაკადს, როცა უნიტაზში ხვდება.

რასაც ამ ეტაპზე მეცნიერები დანამდვილებით ამბობენ, გახლავთ ის, რომ, თუ გნებავთ, შარვალსა და უნიტაზზე შარდის წვეთები არ ჩნდებოდეს, უმჯობესია, დამჯდარმა მოშარდოთ.

– თუმცა ბევრი მამაკაცისთვის ეს მიუღებელია და ჩვენც მათ ვურჩევთ, დახრის კუთხე შეცვალონ – რაც ახლოს იქნება შარდსაწვეთი არხი პისუართან, მით უფრო ნაკლები რაოდენობის წვეთები გაჩნდება, – განმარტავს რენდი ჰიორდი, რომელიც, ჩვენი აზრით, შნობელის პრემიას ნამდვილად იმსახურებს!..

*factroom.ru*

# როგორ შეეწინააღმდეგნენ ესპანელები მეჩეთის აშენებას



სევილია – ქალაქი ესპანეთში, სადაც დაახლოებით 700 ათასი ადამიანი ცხოვრობს და რომელიც ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით რიგით მეოთხე დასახლებული პუნქტია.

სწორედ სევილიელებმა მოიფიქრეს, როგორ შეეშალათ ხელი ქალაქში მორიგი მეჩეთის აშენებისთვის, რაც ადგილობრივებში პროტესტის მიზეზი არაერთხელ გამხდარა.

ადგილობრივებმა იმ ადგილას, სადაც მეჩეთი უნდა აშენებულიყო, მკვდარი ღორი ჩამარხეს და შეეცადნენ, ამის შესახებ პრესაში ინფორმაცია მაქსიმალურად გაშუქებულიყო.

შედეგად მოხდა ის, რომ მიწაზე, რომელიც ქალაქის ხელისუფლებამ მუსულიმანურ სათვისტომოს მიჰყიდა, მეჩეთის აშენების პროექტი შეჩერდა.

*dal.by*

# პირველი პორნოფილმი თავად კინემატოგრაფის გამოგონებიდან სულ რამდენიმე თვეში გამოსულა

„მარიას ღამის თევა" – ასეთი სახელწოდება ჰქონია მსოფლიოში პირველ პორნოფილმს, რომელმაც 1896 წელს, ალბათ, ფურორი მოახდინა, რადგან მიიჩნევა, რომ ეს იყო ისტორიაში პირველი „უფროსების ფილმი".



ცნობილია, რომ ფილმი ცნობილმა ფრანგმა ფოტოგრაფმა და კინემატოგრაფისტმა ეჟენ პირუმ და რეჟისორმა ალბერტ კირხნერმა გადაიღეს, თუმცა მათი ერთობლივი შრომის ნაყოფი თანამედროვეობას მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა – 7-წუთიანი ლენტიდან „ცოცხალია" მხოლოდ 2 წუთი.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფილმი გამოვიდა სულ რამდენიმე თვის შემდეგ, რაც ძმებმა ლუმიერებმა პირველი კინოსეანსი გამართეს.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის ფილმების გადაღების ტექნოლოგიები ბუნებრივია, დახვეწილი არ ყოფილა. ამდენად, მაყურებელი დიდად ვერ დატკბებოდა პირველი პორნოფილმის სცენებით. ამის მიუხედავად, 1903 წელს, როცა „მარიას ღამის თევა" ამერიკაში გამოჩნდა, დიდი ხნის მანძილზე მაინც უდიდესი წარმატებით სარგებლობდა.

*navidoo.ru*

# წამება ტკივილის აღქმადობას სამუდამოც ცვლის



ტკივილი, რომელსაც ადამიანი წამების დროს განიცდის, შესაძლებელია, ფაქტობრივ დროზე ბევრად დიდხანს გაგრძელდეს, რადგან როგორც აღმოჩნდა, წამება ორგანიზმს ტკივილის აღქმის უნარს სამუდამოდ უცვლის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა თელ-ავივის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და სხვადასხვა პროცედურის დახმარებით, ტკივილის ზღვარი 104 მამაკაცში შეისწავლეს.

ექსპერიმენტებში დაშვებული იყვნენ მხოლოდ იომ-ქიფურის, ანუ არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის ვეტერანები, რომელთაგან 60 მამაკაცი მოწინააღმდეგე მხარეს ტყვედ ჩაუვარდა და თითოეულმა მათგანმა საშინელი წამება გამოიარა.

აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები, რომელთაც წარსულში წამება ჰქონდათ გადატანილი, ტკივილს ბევრად ხანგრძლივად და მკვეთრად გამოხატულად აღწერდნენ.

როგორც ექსპერიმენტის ხელმძღვანელი რუთ დეფრინი განმარტავს, ჩვეულებრივ, ადამიანის ორგანიზმი სიტუაციიდან გამომდინარე, მტკივნეულ შეგრძნებებს ან აძლიერებს ან ასუსტებს. წამება კი ორივე ამ მექანიზმის მოშლის მიზეზი ხდება.

საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ყველა ყოფილი სამხედრო ტყვე ტკივილების მიმართ ბევრად მგრძნობიარე იყო, ასევე, ბევრად რთულად ხერხდებოდა მათთვის ტკივილების გაყუჩება, ვიდრე ეს საკონტროლო ჯგუფის შემთხვევაში ხდებოდა.

*meridiannews.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სკანვორდი



1. მექსიკური ქუდი
2. გერმანიის დედაქალაქი
3. კუბის დედაქალაქი
4. მსახ. ... კოლელიშვილი
5. მსახიობი გრეტა ...
6. მხატვარი იოკო ...
7. ქალაქი ეგვიპტეში. იდგა მსოფლიოს საოცრება: შუქურა
8. სიცოცხლის მომნიჭებელი სითხე
9. მისი დედაქალაქია პარიზი
10. „... მიღმა გაზაფხულია"
11. მუხის ნაყოფი
12. დანიის დედაქალაქი
13. რეჟისორი ელდარ ...
14. ტყის სული წვეტიანი ყურებით
15. მხ/ფ „... და მისი ძმები"
16. საძირკველი, ანუ ...
17. ვიოლინოს წინაპარი საკრავი
18. ლეპრა
19. ქალაქი ჩეხეთში
20. ლერწმის შაქარი
21. „იყო ... როსტევან"
22. ჭრილობა
23. ვირას საპირისპირო ბრძანება
24. ნოდარ დუმბაძის რომანი
25. პური ლობიოს გულით
26. ორსახა ღმერთი
27. ნიავი
28. სასწავლო დაწესებულება
29. სამსახურებრივი წინსვლა
30. მსახიობი ... თბილელი
31. ფირნიში
32. სექტემბრის ხალხური სახელწ.
33. ის, ვინც კერძებს ამზადებს
34. „მაუგლი" ავაზა
35. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
36. ჩარხი
37. მსახ ... ტრავოლტა
38. მსახ. ... ლამბერტი
39. ერთ-ერთი თითი
40. ქალაქი უკრაინაში
41. ტყის ფრინველი
42. „ნათლია" დონ ვიტო ...
43. აქლემის ნაშიერი
44. მხ/ფ „... ტრეისი"
45. ბულგარული არაყი
46. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
47. მწერლის ფულადი ანაზღაურება
48. მსახ. ... მაკგრეგორი
49. ბარის პირით ამობრუნებული მიწა
50. ლარნაკი
51. უფულოდ წაღებული საქონელი
52. ოქროს მონეტა ძველ ევროპაში
53. მომღერალი მათუ ...
54. დოილი. „... ძაღლი"
55. გემის გვერდი
56. დედნიდან გადაღებული პირი
57. თმის გასაშრობი ხელსაწყო
58. ხმის გამაძლიერებელი
59. დიზაინერი ... ლაგერფილდი
60. ხეზე ჭრის ხელოვნება
61. რეჟისორი ჯონ ...
62. საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალი
63. რუსი ილუზიონისტი
64. დიამეტრის ნახევარი
65. ფრანგი კომედიოგრაფი
66. პროვინცია კანადაში
67. „ბეჭდების მბრძანებელი" ჰობიტი
68. რევოლუციონერი ... ცეტკინი
69. მიანმის (ბირმის) ყოფილი დედაქალაქი
70. ციხესიმაგრე. იჯდა აბატი ფარია
71. მწვანილი
72. პინოქიოს ავტორი
73. ჩრდ. ამერიკული ნიანგი
74. ქალაქი აშშ-ში
75. ტკბილი ნივთიერება
76. ბელგიის რეგიონი
77. მოკრივე ... მარჩიანო
78. კუნძული ინდონეზიაში
79. ცისარტყელას ფერი
80. ზნეობრივი ხასიათის გამოთქმა
81. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
82. აფრა
83. ფალიაშვილის ოპერა
84. გარეუბანი, ანუ ...
85. „... დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
86. თვითმფრინავის ფანჯარა
87. უნგრელი კომპოზიტორი
88. მანძილის საზომი ასტრონომიაში
89. კრილოვი. „მგელი და ..."
90. გერმანული ავტომობილი
91. ბრედ პიტი ფილმში
92. მხატვარი ანრი ...
93. მისი დედაქალაქია რომი
94. ორგანის კლავიატურა
95. ქალაქი ინგლისში
96. ვაჭრობის ღმერთი
97. იანის საპირისპირო
98. მონათა აჯანყების წინამძღოლი
99. ქართ. ანბანის ბოლო ასო
100. დავით კლდიაშვილის პიესა „... ბედნიერება„
101. ცხენბურთი
102. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
103. ამერიკელის მეტსახელი მექსიკაში
104. მსახიობი ... ბროსნანი
105. მდინარე საფრანგეთში
106. ტყავის შემცვლელი
107. ამ მდინარეში მონათლა ქრისტე
108. იაპონური ხალათი
109. მდინარე იტალიაში
110. ტენორი ... ჯილი
111. ქართ. ხალხური ზღაპარი
112. შინაური ფრინველი
113. „ევგენი ონეგინი" ტატიანა ...
114. მსახ აიშვარია ...
115. ჩეხი კომპოზიტორი
116. იაზონის გემი
117. მსოფლმხედველობა
118. გულმკერდის ძვალი
119. ოტელოს ეროვნება
120. ქორეოგრაფიული ხელოვნება
121. გერმანული ავტომობილი
122. ხის ფოთლიანი ნაწილი
123. ქალაქი იაპონიაში
124. ვარამი
125. ჯუჯა ჟირაფი
126. ხის ანათალი
127. აბატი პრევო. „... ლესკო"
128. ... პოპესკუ გოპო
129. უგრძნობი მდგომარეობა
130. ინფექციური დაავადება
131. საოპერო პარტია
132. ავსტრიის დედაქალაქი
133. მსახიობი ... გარდნერი
134. ერთიანი დიდი ქვა
135. ნაბიჯი ბალეტში
136. იაპონური არაყი
137. ღლავი
138. მდინარე პარიზში
139. ვულკანური მასა
140. მომღერალი ... ჯაგერი
141. მსახიობი ... პაპანოვი
142. ზამთრის სპორტის სახეობა
143. იგავი
144. ჰომეროსის პოემა

პასუხები: 1. სომბრერო; 2. ბერლინი; 3. ჰავანა; 4. ზაზა; 5. გარბო; 6. ონო; 7. ალექსანდრია; 8. ელექსირი; 9. საფრანგეთი; 10. დარაბებს; 11. რკო; 12. კოპენჰაგენი; 13. რიაზანოვი; 14. ელფი; 15. როკო; 16. ბალავარი; 17. ვიოლა; 18. კეთრი; 19. ბრნო; 20. საქაროზა; 21. არაბეთს; 22. იარა; 23. მაინ; 24. „კუკარაჩა"; 25. ლობიანი; 26. იანუსი; 27. სიო; 28. სკოლა; 29. კარიერა; 30. მარინე; 31. აბრა; 32. ენკენისთვე; 33. მზარეული; 34. ბაგირა; 35. სტაფილოკოკი; 36. ჯარა; 37. ჯონ; 38. კრისტოფერ; 39. ნეკი; 40. ოდესა; 41. როჭო; 42. კორლეონე; 43. კოზაკი; 44. დიკ; 45. რაკია; 46. ინდიგო; 47. ჰონორარი; 48. ევან; 49. ბელტი; 50. ვაზა; 51. ნისია; 52. დუკატი; 53. კრავეიშვილი; 54. ბასკერვილების; 55. ბორტი; 56. ასლი; 57. ფენი; 58. რუპორი; 59. კარლ; 60. ინკრუსტაცია; 61. ვუ; 62. კასკადი; 63. კიო; 64. რადიუსი; 65. მოლიერი; 66. კვებეკი; 67. ფროდო; 68. კლარა; 69. იანგონი; 70. იფი; 71. ქინძი; 72. კოლოდი; 73. ალიგატორი; 74. ბოსტონი; 75. შაქარი; 76. ფლანდრია; 77. როკი; 78. იავა; 79. იისფერი; 80. სენტენცია; 81. „ოსკარი"; 82. იალქანი; 83. „დაისი"; 84. პერიფერია; 85. ჯერ; 86. ილუმინატორი; 87. ლისტი; 88. პარსეკი; 89. კრავი; 90. „აუდი"; 91. „ტროა"; 92. რუსო; 93. იტალია; 94. მანუალი; 95. ბრისტოლი; 96. ჰერმესი; 97. ინი; 98. სპარტაკი; 99. ჰაე; 100. ირინეს; 101. პოლო; 102. მალტა; 103. გრინგო; 104. პირს; 105. რონა; 106. დერმატინი; 107. იორდანე; 108. კიმონო; 109. პო; 110. ბენიამინო; 111. „ირმისა"; 112. ციცარი; 113. ლარინა; 114. რაი; 115. სმეტანა; 116. „არგო"; 117. კრედო; 118. ნეკნი; 119. მავრი; 120. ბალეტი; 121. „ოპელი"; 122. კრონა; 123. ნაგანო; 124. დარდი; 125. ოკაპი; 126. ნაფოტი; 127. მანონ; 128. იონ; 129. კომა; 130. ტიფი; 131. არია; 132. ვენა; 133. ავა; 134. მონოლითი; 135. პა; 136. ლოქო; 138. სენა; 139. ლავა; 140. მიკ; 141. ანატოლი; 142. ბიათლონი; 143. არაკი; 144. „ილიადა". იკითხება: ნიკე.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ის, ვინც მუსიკებს წერს
2. ესპანეთის დედაქალაქი
3. სივრცეში რაიმეს მოძრაობის გზა
4. მსახიობი ამირან ...
5. რესპუბლიკა რუსეთში
6. სასიმინდე
7. მიქელანჯელოს ქმნილება
8. სიმინდის ყვავილედი
9. ნიშნავს ჩირქოვანს
10. ჰოლანდიელი მხატვარი
11. შეხვედრა, ანუ ...
12. დაკოდილი ცხენი
13. ... მოგივა დავითაო
14. ჯიქანი
15. მართკუთხედის გვერდების ჯამი
16. შტატი აშშ-ში
17. ჭიდაობას რა ...
18. ზოდიაქოს ნიშანი
19. „რომეო და ჯულიეტა“ პერსონაჟი
20. მწერალი ლეო ...
21. წარწერა საფლავის ქვაზე
22. ვაქცინაცია
23. კუნძული ინდონეზიაში
24. კუბის ფორმის ოქროს ნაჭერი
25. ტიბეტური ხარი
26. მსახიობი ... ელექტრა
27. ხორთუმიანი ცხოველი
28. მეტყველების მელოდიური წყობა
29. ...-დე-ჟანეირო
30. ბარდი ... ვისოცკი
31. კლუბი, სადაც ცეკვავენ
32. გადასატანი რადიოსადგური
33. ბარდი ალექსანდრე ...
34. მხატვარი ... პიკასო
35. ოცკაპიკიანი ძველად
36. საუბარი
37. ფიზიკოსი ანტუან ...
38. ლითონის გასახეხი ძელაკი
39. კბილის დამცავი ფენა
40. მწერალი ... ჩეხოვი
41. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
42. მხ/ფ „როცა აყვავდა ...“
43. თვალის ბისტი
44. ესტონეთი დედაქალაქი
45. დაბალფასიანი
46. სომხეთის ძველი დედაქალაქი
47. ჩეხეთის დედაქალაქი
48. რეჟისორი ... სკოტი
49. მსახიობი ... მიურეი
50. ტბა პერუში
51. ბრომში ადამიანის პროფილით
52. ქანდაკების მხოლოდ ტანი
53. მონღოლეთში ოქროს ...
54. ... კუზანოვი
55. მუსიკალური ინტერვალი
56. მომღერალი ბობ ...
57. მწერალი ... კონან დოილი
58. სახის მოძრავი ნაწილი
59. მსახიობი მონიკა ...
60. მეტყველების ორგანო
61. დროშა
62. საფეხბურთო კლუბი „... 04“
63. უფრთო ფრინველი
64. საგანგებო დავალება
65. მწერალი ... პირანდელო
66. წერილობითი თხოვნა
67. „... ვხედავ მზეს“
68. მსახიობი ბრედ ...
69. აივენჰოს სატრფო
70. მხატვარი ავთო ...
71. ცისარტყელას ფერი
72. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
73. სოფელი რაჭაში
74. გამის ნოტი
75. ყვავილი
76. სია
77. კომპოზიტორი იან ...
78. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა ჟესტიკულა-ციით
79. გალაქტიკა: ანდრომედას ...
80. ... გათეთრდების ყორანი
81. ბრძენი ქალი რუსულ ზღაპრებში
82. საოპერო პარტია
83. ორი შესაძლებლობიდან ერთის არჩევის აუცილებლობა
84. ივლისის ხალხური სახელწ.
85. ისრაელის დედაქალაქი
86. კალათბურთელი არვიდას ...
87. ბერძნული ცეკვა
88. მით. პერსონაჟი. ცნობილია ქუსლით
89. ტალახი
90. ქორეოგრაფი მარის ...
91. მხ/ფ „ჩვენი ...“
92. დრამატურგი ... ბრეხტი
93. უბედურების მაუწყებ. სიგნალი
94. მოხარშული ზეთი
95. საქმეში ჩადებული წილი
96. ფეხბურთელი ... მესი
97. მსახიობი ვახტანგ ...
98. მსახიობი აიშვარია ...
99. ვარსკვლავის წვეტი
100. მომღერალი ... დიასამიძე
101. მსახიობი ჯენიფერ ...
102. კათოლიკური საგალობელი
103. საავადმყოფოს ოთახი
104. მსახიობი ... მარტინი
105. მდინარე შორეულ აღმოსავ.
106. 1000მ
107. კვარცხლბეკი
108. მდინარე აღმ. საქართ.
109. მსახიობი ... დიზელი
110. ვაჟიშვილი
111. ბერძ. ანბანის პირველი ასო
112. ტროპიკული ნაყოფი
113. „... ცეროვის მარცვალზე“
114. შრომა
115. ტალღებზე დაფით სრიალი
116. ღვინის გამყიდველი
117. კუნძული ავსტრალიასთან
118. სამხედრო ქურთუკი
119. ბავშვის საკვები
120. მსახიობი ... ჟირარდო
121. ზღაპარი „12 ...“
122. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
123. მსახიობი ... არდანი
124. რეჟისორი ალფონსო ...
125. გადაბრუნებ. ასო დელტა
126. ხორბლეულის შესანახი შენობა
127. შინაური ცხოველი
128. ოჯახი, ანუ ...
129. პირველი სამნიშნა რიცხვი
130. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
131. მტაცებელი ფრინველი
132. ქალაქი საფრანგეთში
133. სცენაზე დადგმული პიესა
134. მსახიობი ... როკი
135. აზროვნების ორგანო
136. რეჟისორი ... დე ბონტი
137. 1000კგ
138. მსახიობი ... მიდლერი
139. ყავის ჯიში
140. სპორტის სახეობა
141. ... ფონ ბისმარკი
142. მხ/ფ „... ფაუერსი გოლდმემბერი“
143. პატარა არხი
144. პურის სოკო
145. ქვეყნის საკანონმდ. ორგანო
146. სტადიონი რომში
147. ... ჰო, ... არა



## ნეკროლოგის ფოტოთი მოხიბლულმა ამერიკელებმა გოგონა საფლავიდან ამოთხარეს!



ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სამი გახრწნილი და გარეწარი ამერიკელი ახალგაზრდა სასჯელის გარეშე გადარჩება, რადგან ვისკონსინის შტატში არ ყოფილა კანონი, რომელიც ნეკროფილიას კრძალავს.

როგორც ირკვევა, 21 წლის ტყუპმა ძმებმა: ნიკოლას და ალექსანდრე გრუნკეებმა და მათმა მეგობარმა, დასტინ დარკემ 20 წლის ლაურა ტენესენის ცხედარი საფლავიდან მას შემდეგ ამოთხარეს, რაც ავარიის შედეგად დაღუპული გოგონას ფოტო ნეკროლოგში იხილეს და უსაზღვროდ მოიხიბლნენ.

ახალგაზრდებმა, რომლებიც პატიმრობის კი არა, ძელზე გასმის ღირსებიც კი არიან, ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლთან სექსი მოინდომეს და მაშინვე ამ საზიზღარი სურვილის ასასრულებლად გაემართნენ.

საბედნიეროდ, საცოდავი გოგონას სხეულის გარყვნა მათ ვერ მოასწრეს, რადგან საფლავის დარაჯებმა ხმაურის გამო პოლიციას გამოუძახეს, მაგრამ თავად ეს ფაქტი მაინც უსაზღვროდ შემზარავია და მართლა ძალიან სამწუხაროა, რომ ბოროტმოქმედები ციხის გარეთ დარჩნენ და მხოლოდ ფულადი ჯარიმის გადახდამ მოუწიათ.

ისე, ძალიან საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ გოგონას ახლობლები...

*vesti.ru*

## გერმანელმა მძარცველებმა ტელევიზორი და 46... გველი მოიპარეს



წყევლა-კრულვა აქ რა მოსატანია, მაგრამ რომელიმე ენამწარე ქალი მაინც მიაყრიდა ქოქოლას: მაგაზე უკეთესი არაფერი შესულიყოს თქვენს სახლშიო...

და მართლაც – ადამიანი რომ 46 გველს მოიპარავს, მას ან სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები უნდა აწუხებდეს, ან კიდევ, კაცმა არ იცის, რა...

როგორც ირკვევა, ეს საოცარი კრიმინალური ფაქტი გერმანიის ქალაქ შტადეში გამოვლინდა, სადაც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა 46 გველი მოიპარეს, მათ შორის, 43 განსაკუთრებით შხამიანები.

მართალია, ნაქურდალში ერთი ტელევიზორიც ერია, თუმცა ვფიქრობთ, კრიმინალების დანარჩენი მონაპოვარი მაინც ძალიან სულელურია.

რა თქმა უნდა, თუკი ქურდები გველების გაყიდვას შეძლებენ, ალბათ, დიდ შემოსავალსაც მიიღებენ, მაგრამ გვეეჭვება, შხამიანი გველების შეძენაზე წყვეტა იყოს...

*etotupo.ru*

## და ვინჩის „საიდუმლო სერობაზე“ სამყაროს აღსასრულის წინასწარმეტყველება აღმოაჩინეს



იტალიელი მკვლევარი, საბრინა სფორცა გალიცია ამტკიცებს, რომ შეძლო იმ წინასწარმეტყველების გაშიფვრა, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ თავის „საიდუმლო სერობაზე“ დაიტანა.

მეცნიერის განმარტებით, რომელიც აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კვლევებს ჯერ კალიფორნიის უნივერსიტეტში ატარებდა, შემდეგ კი ვატიკანის არქივებში, ლეონარდო და ვინჩიმ იწინასწარმეტყველა, რომ 4006 წლის 21 მარტს დედამიწაზე დაიწყება რაღაც პროცესი, რომელსაც სერიოზული კატაკლიზმები მოჰყვება და იმავე წლის 1-ელ ნოემბერს ყველაფერი დასრულდება.

საბრინა სფორცა გალიცია განმარტავს მხოლოდ იმას, რომ მან ლეონარდოს მიერ შედგენილი რაღაც მათემატიკურ-ასტროლოგიური შიფრი ამოხსნა. კერძოდ, თითქოს, მაგიდაზე, რომელთანაც ქრისტე და მისი მოწაფეები სხედან, დევს მსოფლიოს რუკა გრძედებისა და განედების აღნიშვნებით, თუმცა როგორ მიიღო მან ციფრები: 4006 წელი, 21 მარტი და 1-ლი ნოემბერი, აღარ ზუსტდება.

ისე, არ გაინტერესებთ, როგორი იქნება სამყარო 4006 წელს? ნეტავ, ცალი თვალით მაინც დაგვანახა ასეთი შორეული მომავალი...

*tainamira.ru*

## ბომჟის მილიონერობის ამბავი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა



ეროვნებით შვედ ბომჟს, კურტ დეგერმანს, რომელიც 30 წლის განმავლობაში თურმე, სახლკარის გარეშე ცხოვრობდა, სიცოცხლის ბოლოს 12 მილიონი შვედური კრონი, დაახლოებით 1,4 მილიონი აშშ დოლარი მოუგროვებია.

ეს საოცარი ისტორია შვედეთის ქალაქ სკელეფტეაში მოხდა: იქაურ ღარიბებში კურტი ცნობილი იყო, როგორც „რკინის ქილა“...

მისი სიცოცხლე არაფრით განსხვავდებოდა სხვა ბომჟებისგან და ყოველდღიურად ფასტ-ფუდის ნარჩენებით იკვებებოდა, რომელსაც ნაგავში პოულობდა. იქვე ეძებდა ის ტანსაცმელსაც.

თურმე, აღნიშნული მეტსახელი კურტ დეგერმანმა იმის გამო მიიღო, რომ მთელი დღეები ლუდისა და სხვა სასმელების ქილებს აგროვებდა, შემდეგ კი ტარის მიმღებ პუნქტებში აბარებდა. აღებულ ფულს ბომჟი, სხვებისგან განსხვავებით, არც ალკოჰოლზე ხარჯავდა და არც ნარკოტიკებზე, უბრალოდ, აგროვებდა. უფრო მეტიც, მას არა ერთი წარმატებული კომპანიის აქციაც კი ჰქონია შეძენილი.

60 წლის ასაკში გულის შეტევისგან გარდაცვლილმა ბომჟმა მთელი ქონება ბიძაშვილს დაუტოვა, რომელიც სხვა ნათესავებისგან განსხვავებით, მას ხშირად ნახულობდა, თუმცა მემკვიდრეობის მიღებას მზურნველი შვედი ჯერჯერობით ვერ ახერხებს – კურტ დეგერმანის სიმდიდრემ ბევრ მის ნათესავს აუჩქროლა სისხლი და სასამართლოში სარჩელის შეტანისკენ უბიძგა...

*pronowosti.ru*

## ჟურნალისტს თევზებზე ჩატარებული სასიკვდილო ექსპერიმენტი აპატიეს, – უწყინარ არსებებს არ უწვალიათო...



როცა ექიმი იტყვის: „არ უწვალია, ისე დალია სულიო“, ჭირისუფლები მშვიდდებიან, ხოლო როცა სასამართლო ექსპერტიზა დაადგენს: „აღსასრულის დადგომის წინ თევზებს არ ტკენიათ და მშვიდად გავიდნენ მარილზეო“, დანიელი ჟურნალისტები პატიმრობას გადარჩებიან.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი მიზეზით გადარჩა ციხის ნარების ხეხვას დანიელი ტელეჟურნალისტი, ლისბეტ კელსტერი, რომელიც წინასწარი დაკავების იზოლატორში იმის გამო მოხვედრილა, რომ თურმე, თევზებზე სასიკვდილო ექსპერიმენტის ჩატარება ედებოდა ბრალად.

კერძოდ, ლისბეტ კელსტერმა აკვარიუმში, რომელშიც 12 თევზი ცურავდა, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი ჩაასხა, რათა საზოგადოება იმაში დაერწმუნებინა, რამდენად მაღალი იყო მასში ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა.

– კოპენჰაგენის სასამართლომ ნამდვილად ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, – გახარებული ამბობდა დანიელი ჟურნალისტი, რომელიც ექსპერტების გამოტანილმა შემდეგი შინაარსის დასკვნამ გადაარჩინა:

„თევზებს ტკივილი და ტანჯვა არ განუცდიათ“...

*mainfun.ru*



## ისლანდიის პარლამენტმა სტრიპტიზი აკრძალა

კაცო, ქალი რომ „ყინულოვან ქვეყანაში“ გაიხდის, იმას მადლობის მეტი რა ეკუთვნის, მაგრამ ეს პოლიტიკოსები ხომ დაუნახავები არიან, რა!

როგორც ირკვევა, უახლოესი მომავლიდან ისლანდიაში სტრიპტიზ-შოუების ჩატარება აიკრძალება, მანამდე კი იქაურები მოსწრებაზე არიან და ცდილობენ, ეროტიკული ცეკვების ცქერით მაქსიმალურ დატკბნენ.

ასეთ აკრძალვას ისლანდიელი პარლამენტარები იმით ხსნიან, რომ სტრიპტიზ-ბარების სახელით, შესაძლოა, ქვეყანაში საროსკიპოები გაიხსნას.

ისლანდია გახდა პირველი ევროპული ქვეყანა ვატიკანის გამოკლებით, რომელმაც სტრიპტიზის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო.

*mainfun.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქმარი ცოლს:

– საყვარელო, გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო!

– და ღალატს მაპატიებ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო – მიცვალებულებს ყველაფერს პატიობენ!..

*****

აღსარებაზე:

– მამაო, ცოლი მივლინებაში წავიდა და კარის მეზობელთან ვიწექი...

– რამდენჯერ?

– რას ნიშნავს, რამდენჯერ? მე აქ აღსარებისთვის მოვედი და არა სატრაბახოდ!!!

*****

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს:

– გაიღვიძე, კოტე, გაიღვიძე!!!

– ?!?!?!

– ლოგინში მოგისაქმებია... ალბათ, რამე საშინელი სიზმარი ნახე?

– ჰო – თითქოს უზარმაზარი ზვიგენი მჭამდა...

– ვაი მე, საყვარელო, ალბათ, მე შიშისგან მოვკვდებოდი!

– რას ამბობ, მე ხომ კაცი ვარ!!!

*****

– რისთვის არის საჭირო ყურები? – ეკითხება ბაღის მასწავლებელი პატარა კოტეს.

– იმისთვის, რომ ყველაფერი დავინახო!

– ჰო, მაგრამ ამისთვის ხომ თვალები გვაქვს?

– კი, ასეა, მარა ყურები რომ არ გვქონდეს, ქუდი თვალებზე ჩამოგვეფხატება და აბა, რაღას დავინახავთ?!

*****



– ექიმო, წონაში დაკლების ეფექტური საშუალება მჭირდება!

– პრობლემა არ არის – ნახშირს გამოგიწერთ.

– ფხვნილია თუ აბები?

– ტომრები – ვაგონებს დატვირთავთ!..

*****

– ფული? მაგარი მოღალატეა! როცა კაი ამბავია, ერთად მივდივართ, სახლში კი სულ მარტო ვბრუნდები ხოლმე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



დედა მარინა ჯიბლაძე, მამა ზორბეგ გურგენაძე, და სოფო გურგენაძე, სიძე ირაკლი ხუციშვილი, დისშვილები ნიკა და ნიტა ხუციშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

**ზურაბ გურგენაძე**

**პანაშვიდი:** 20, 21 თებერვალს;
**მისამართი:** ეკა ბეჟანიშვილის „ა“ კორპუსი, მე-2 სადარბაზო;
**გამოსვენება:** შაბათს, 22 თებერვალს, 14 საათზე, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან (კინოთეატრ „საქართველოს“ გვერდით).

დოდო, ირაკლი, ნინო, დავით ჩხიკვაძეები, ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დისა და მამიდის შვილიშვილი

**დავით თემურის ძე ცხაკაია**

**პანაშვიდი:** 19 თებერვალს, 17 საათზე;
**მისამართი:** საბურთალოს ქ. №43ა;
**გამოსვენება:** 20 თებერვალს, 14 საათზე, ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან.

სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი „უნიდენტი“ იზიარებს კლინიკის ექიმის, ნინო ხუხუნაიშვილისა და მისი ოჯახის მწუხარებას ქალბატონ

**ნატო შარაშიძის**

გარდაცვალების გამო.

მარინა მამალაძე და ზურაბ ვადაჭკორია უსამძიმრებენ თემურ ხუხუნაიშვილსა და მის ოჯახს დედის, ქალბატონ

**ნატო შარაშიძის**

გარდაცვალების გამო.

მარინა, ირინა და კახა მამალაძეები ოჯახებით, მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონ

**ნატო შარაშიძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ თემურ, ნატო, ციალა, ნინო, თამარ ხუხუნაიშვილებსა და ქეთა გამსახურდიას.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას


გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი


## ჰოროსკოპი

*ვერძი 21.03-21.04*
**19 თებერვალი:** მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ზოგჯერ სასიამოვნოა და დროში იწელება ხოლმე. შეეცადეთ, არ იყოყმანოთ, თორემ გადაწყვეტილება მიუღებელი დაგრჩებათ.

*კურო 22.04-21.05*
**19 თებერვალი:** უფრო მარტივია დაიჯეროთ, რომ ყველაფერი საუკეთესოდ გაკეთდება, ვიდრე პროცესი თავად აკონტროლოთ. ამის მიუხედავად, დღეს სიტყვებზე არავის ენდოთ და საქმე თავად გააკეთეთ.

*ტყუპები 22.05-21.06*
**19 თებერვალი:** დღეს გაიგებთ ამბავს, რომელიც ერთდროულად გაგაოცებთ და აღგაფრთოვანებთ. ზოგადად, სასიამოვნო დღე უნდა იყოს.

*კირჩხიბი 22.06-22.07*
**19 თებერვალი:** იმდენად შორს მიმავალი მიზნები გაქვთ, არ ღირს ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე უარის თქმა მანამდე, სანამ ამ მიზნებს არ მიაღწევთ.

*ლომი 23.07-22.08*
**19 თებერვალი:** რის გამო, უცნობია, მაგრამ შეიძლება დღეს სხვათა საქმეებში ჩაერიოთ და გეგმები აურ-დაურიოთ. თავი შეიკავეთ, კონფლიქტი არაფერში გჭირდებათ.

*ქალწული 23.08-22.09*
**19 თებერვალი:** დღეს თქვენს გარშემო ყველა მხიარული იქნება და თუ უშუალოდ თქვენთან ურთიერთობაში დაიწყებენ სიცილს, არ გეწყინოთ, თქვენ არ დაგცინიან. ახალ მეგობრებს შეიძენთ.

*სასწორი 23.09-22.10*
**19 თებერვალი:** დღეს ყველაფერი იმდენად კარგად გამოგივათ, ურიგო არ იქნება, თუ მოქმედებების თანმიმდევრულობას ჩაიწერთ იმის იმედით, რომ მომავალში ეს სქემა ისევ გაამართლებს.

*მორიელი 23.10-21.11*
**19 თებერვალი:** არის ალბათობა, რომ დღეს აღელვებული ადამიანების დაწყნარება სწორედ თქვენ მოგიწიოთ. დიდი მოთმინება და ტაქტი დაგჭირდებათ.

*მშვილდოსანი 22.11-21.12*
**19 თებერვალი:** შეეცადეთ, დარწმუნდეთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო შანსს არ უშვებთ ხელიდან და ამის შემდეგ დაიწყეთ მოქმედება. თუ დღეს ვერ გაერკვევით, ხვალამდე მოიცადეთ.

*თხის რქა 22.12-19.01*
**19 თებერვალი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს მოდუნების საშუალება მისცეთ, მოიცილეთ უნდობლობის შეგრძნება, ვის მიმართაც არ უნდა იყოს და საერთოდ, უსიამოვნო აზრებისგან განთავისუფლდით.

*მერწყული 20.01-18.02*
**19 თებერვალი:** როგორი სურვილიც არ უნდა გქონდეთ, ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. თუ რამე მცირე უსიამოვნება უკვე მოხდა, სინანულზე დრო არ დახარჯოთ.

*თევზები 19.02-20.03*
**19 თებერვალი:** შეეცადეთ, დღეს არავის საქმეებში არ ჩაერიოთ. იმის მიუხედავად, რომ საუკეთესო სურვილები გამოძრავებთ, შეიძლება დეტალებში ვერ გაერკვიოთ და საქმეს ავნოთ.

## ინგლისელი მეცნიერები სკანდალში გაეხვივნენ: ხელისუფლების დაკვეთით, ისინი ღორებს... აფეთქებენ



და იცით, რა ყოფილა მათი მიზანი? იმის დადგენა, რამდენად დიდხანს იცოცხლებს ღორი, როცა სისხლისგან დაცლას დაიწყებს...

როგორც ირკვევა, ქიმიური იარაღის გამოსაცდელად საიდუმლო სამხედრო ლაბორატორია ინგლისელებს ჯერ კიდევ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაუხსნიათ, სადაც ტარდებოდა კიდეც სასტიკი ექსპერიმენტები, დღემდე კი იქ, საერთო ჯამში, 18 ღორი აუფეთქებიათ: ცხოველებს სწავლულები სპეციალურ დამცავ ქსოვილში ახვევდნენ და აფეთქების ეპიცენტრიდან დაახლოებით 2,5 მეტრში აყენებდნენ. ექსპერიმენტის უწყინარ მონაწილეებს სისხლძარღვებსა და შარდის ბუშტში მილებს უერთებდნენ, ელენთას კი საერთოდ აჭრიდნენ. ამის შემდეგ ფაშვის ნაწილის აორტაში ელექტროსადენსაც უმაგრებდნენ, რათა აფეთქების შედეგად ძარღვი აუცილებლად გამსკდარიყო. დამცავი ქსოვილი კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ღორები ნამსხვრევებისგან არ დაზარებულიყვნენ.



ამ სასტიკი ექსპერიმენტების შესახებ ინფორმაციის გამომზეურებას უკვე მოჰყვა საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი არა მხოლოდ რიგით მოქალაქეებში, არამედ ზოგიერთ პოლიტიკოსშიც, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რომ წლების წინათ დაწყებული უცნაური სამეცნიერო მუშაობა დღემდე გრძელდებოდა. თავად მეცნიერები კი თავს იმართლებენ, რომ მსგავსი ექსპერიმენტების მიზანი საზოგადოებისთვის სასარგებლოა.

საინტერესოა, რომ დაახლოებით ანალოგიურ ექსპერიმენტებს 2009 წლის აპრილში ამერიკელებიც ატარებდნენ და როცა ეს ამბავი გასკდა, სკანდალი მაშინაც აგორდა, თუმცა მითქმა-მოთქმა მალევე მინელდა და ვინ იცის, რა სახის ექსპერიმენტები ტარდება დღესაც არა მხოლოდ ცხოველებზე, არამედ ადამიანებზეც...

***mainfun.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სტუდენტი სახლში ახალი ჯიპით მივიდა. მშობლები გაკვირვებულები არიან, ეკითხებიან, სად იშოვა მანქანის ფული?

– ჩვენმა მეზობელმა თინა დეიდამ მომყიდა 50 ლარად.

გაცვივდნენ მაშინვე მშობლები მეზობელ თინასთან, სიტუაცია რომ გაერკვიათ.

– მოკლედ, საქმე ისაა, რომ ჩემი იდიოტი ქმარი ორი კვირის წინ მივლინებაში წაბრძანდა. გუშინ დამირეკა, სხვა შემიყვარდა, შენთან ცხოვრებას აღარ ვაპირებ და ჩემი ქონება რაც არის გაყიდე, ფული გამომიგზავნეო... სხვათა შორის, 3-ოთახიანი ბინა 100 ლარად არ გნებავთ?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი **ბადრი ძევანიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.33